


# ლიტერატურული გზეული

№32 6 აგვისტო - 2 სექტემბერი 2010

ბათუმის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევით

ფასი 50 თეთრი



ტარიელ ხარხელაშვილის  
ლექსები

IV-V

ვასილ შანიანი

VI-VII

ეჟენ იონესკოს  
ბოლოდროინდელი ჩანაწერები

XIV-XV



„ერთი მოთხრობის კონსერვაცია“  
ჟიურის მიერ მოწონებული  
მოთხრობა

გურამ მეგრელიშვილი

# ბოიბი

(ფანტასტიკურისავე მოთხრობა)

მგზავრს ძვირფასი კოსტუმი, ჯინსის შარვალი და სამხედრო ჩექმები ეცვა. ფეხი-ფეხზე გადაედო და ფანჯრიდან იყურებოდა. ფეხებთან სამგზავრო ჩანთა, გვერდით კი ხელჩანთა ედგა წარწერით „...“, რომელზეც ბავშვიანი ქალის ფოტო იდო.

როდესაც სადგურს მიუახლოვდა, მატარებელმა მკვეთრად დაამუხრუჭა და ხელჩანთა ძირს გადავარდა. მგზავრმა ფრთხილად აიღო ხატი და პიჯაკის სახელოთი განმინდა, მერე ჩანთა გახსნა და შიგ ჩაღო.

ბაქანზე ხალვათობა იყო. აქა-იქ მტვირთავები იდგნენ, ურიკებზე ფეხები მიეყრდნოთ და კლიენტების მოლოდინში სიგარეტს ზანტად ეწეოდნენ.

მატარებელი ქოშინებდა. წუთი-წუთზე დაიძვრებოდა ალბათ. მგზავრს გაუელვა, ნეტავი ცოტა ხნით ჩავსულიყავი, გაზეთს მაინც ვიყიდდი. წამოდგა, გაიხედ-გამოიხედა, მაგრამ ჯიხური არსად ჩანდა. უცბად შენიშნა, რომ საშუალო ასაკის ქალი მორბოდა მისი ვაგონისკენ, ხელში ორი მძიმე ჩანთა ეჭირა და ალბათ ერთი უფრო მძიმე იყო, რადგან ცალი მხარი დავარდნილი ჰქონდა და შეწუხებული სახით, შოშიასავით პირდაღებული მორბოდა. მოულოდნელად, ერთი ჩანთის სახელური განწყდა და ბაქანზე ვაგონებისკენ, თითქოს სურდა ასე გაეჩერებინა. ჩანთა ფეხზე წამოაყენა და იქვე ჩამუხლულ ზონზროხა კაცს რაღაც უთხრა. მტვირთავებს ყურადღება არც კი მიუქცევიათ ქალისთვის, ძველებურად იდგნენ და ეწეოდნენ.

მატარებელმა სისწრაფე აკრიფა თუ არა, კუპეში თმა-ანწილმა კაცმა შემოყო თავი. იქაურობა შეათვალა და სწრაფად მიხურა კარი. მგზავრმა თვალის შევლება ვერც მოასწრო, ისევ იმ ვაგონებიან ქალზე ფიქრობდა.

ქალი ნუთში კარი გაიღო. ისევ ის თმაგანწილი კაცი იყო, რომელიც ამჯერად ნახევარი ტანით შევიდა კუპეში და წვრილი, ღრმადჩამჯდარი თვალეები მიმოატარა.

— გამარჯობა-თ.

მგზავრმა თავი დაუკრა. მოსული იქნებოდა ასე ას სამოცი სანტიმეტრი, დაახლოებით ორმოცდარვა-ორმოცდაცხრა წლის. ძველმოდური პიჯაკი ეცვა, პიჯაკის შიგნით კი სპორტული ჯემპრე. სახელოებთან ლაქები ემჩნეოდა. სოფლის სუნი შემოიტანა.

— ცარიელია კუპე?

მგზავრმა გაიხედ-გამოიხედა და მხრები აიჩეჩა — თუ ჩემს არსებობას გამოვრიცხავთ, მაშინ — კი. ორნი რამდენიმე სადგურში ამოვლენ.

განწილთმინან თვალეები გაუფართოვდა. ენა მოისვა ტუჩებზე და მოიკუნტა. „გამოდის, რომ ეს, მეოთხე ადგილი თავისუფალი აქვთ.“

— ყველა ვაგონი სავსეა. ჩემთვის, კუთხეში რო ჩამოვჯდებ, უხმოდ... არ შეგანუხებთ. ორ გაჩერებაში ჩავდივარ. პრავადნიკი, ეს...

სანამ გამცილებლის ლანძღვას მოყვებოდა, მგზავრმა ხელით ანიშნა, შემოდო და ადგილისკენ მიუთითა.

განწილთმინანათასი მადლობა თქვა და სამიოდე უზარმაზარი ყუთი შემოათარია. ყუთებიდან კარტოფილის სუნი ამოდოდა და მგზავრს მოხარული კარტოფილი წარმოუდგა თვალწინ.

— ოჯახისა რა ვთქვი... თან შეიდი შეილი მყავს... შეიდი. — მოუბოდიშასავით კაცმა და ყუთები ერთმანეთზე დაანყრო. — შორიდან მოდიხარ?

მგზავრმა მხრები აიჩეჩა და ფანჯრიდან გაიხედა. განწილთმინან ფარულად შეათვალა და მხედვური და თავისთვის გაიფიქრა კაი უჟმური ვინმე იქნებო. თან ადგილობრივსაც არ ჰგავდა. ან რას ამბავდის? ორმოცი წუთით ადგილს უთმობს რა, ისედაც ცარიელია ვაგონი.

— უკაცრავათ, თქვენ ალბათ



დედაქალაქიდან მოდიხარ, არა?

მგზავრმა თავი გაურკვეველად გააქინა, ვერ გაიგებდი თანხმობის, თუ უარის ნიშნად.

— ვიცნობდეთ ერთმანეთს, თენგო, თენგიზი.

განწილთმინანი ოდნავ წამოდგა, ხელი გაუწოდა. მგზავრიც წამოიწია, ხელი ჩამოართვა — იაშა.

ძლიერი ხელი ჰქონდა, მაგრამ რბილი ხელისგულეები. ეტყობოდა, რომ არასოდეს უმუშავია ფიზიკურად. თვითონ კი როგორი დაკოჟრილი და უხეში აქვს. კოსტიუმიც მუთუვალა იქნა. ჩემოდანს დახედდა და გაიფიქრა — ვიღაცა ფულიანი იქნება უეჭველი. ნეტა სად მიდის?

— თანამდებობის კაცი იქნები, გეტყობა! — პირფერულად გაუღიმა თენგომ და ფეხზე დახედა — ჩვეულებრივი სამხედრო ჩექმა ეცვა. ასეთები თვითონაც ეყარა სახლში და ბოსტანში იცვამდა. „იქნებ სულაც არ არის ფულიანი?“

იაშას გაეცინა. არ ვარ თანამდებობის კაცი, მთელი ჩემი არსებობის მანძილზე გადაბმულად ხუთი-ექვსი დღე მაქვს ნამუშევარი, მოკლედ მოუჭრა და ხელჩანთიდან ცელოფინის პარკი ამოიღო, ხელი ჩაყო შიგნით და პური ამოაძვრინა. კუპეში თბილი პურის სურნელი დატრიალდა და თენგოს ცხვირში მოუღიტინა.

იაშამ ხელით გატეხა პური და გაზეთზე დააწყა, მერე მონადირის ძეხვი, სქლად დაჭრილი ყველი, ხახვი ამოალაგა და სულ ბოლოს წითელი ღვინით სავსე კოკა-კოლის ბოთლიც ამოაცოცა.

თენგო მოშიებული იყო, დილის მერე არაფერი უჭამია. ფულს ზოგავდა ხოლმე და გარეთ არ ჭამდა. ცდილობდა მგზავრობის საფასურიც არ გადაეხადა, რათა სახლში ცოტა მეტი თანხა მიეტანა.

— მიირთვით. — შესთავაზა იაშამ და გაზეთი მიუწოჩა. თვითონ კი პლასტმასის გასაშლელ ჭიქებში ღვინო ჩამოასხა. ამ ჭიქებში ძველი დრო და რუსეთში გატარებული წლები გაახსენეს თენგოს. ასეთები კარგა ხანია აღარსად უნახავს. პურის ნატეხი აიღო, დასუნა და ჩაკბინა.

— ხორცს ვერ შევჭამ, მარხული ვარ. — რაღაცნაირად დეკლარირებასავით გამოუვიდა და იქვე იწანა. იაშამ ისე გემრიელად ჩაკბინა ყველის ნაჭერი, რომ თვითონაც მოუნდა. უცნობისა მოერიდა, თორემ გატეხავდა მარხვას და თავადაც სიამოვნებით შეჭამდა. პური ღვინოში დაასველა და გამოწუნა.

— რა ღვინოა?  
— არ ვიცი, გზაში ვიყიდე.  
— კაი ღვინოა.  
— შეიძლება.

თენგომ ახლავდა შენიშნა, რომ ახლად-გაცნობილ ადამიანს აქცენტი ჰქონდა. სახეზეც რომ დააკვირდა, ნამდვილად არ

ჰგავდა ქართველს.

— მე რა შემოგთავაზო? — შეწუხდა თენგო და ყუთებს გახედა. ზედაში კარტოფილები ელაგა, შუაში ვაშლი იყო, მაგრამ გახსნა დაეზარა.

იაშა სადღეგრძელოებს არ ამბობდა. თენგოს ერთი კი გაუელვა ვინაა ეს გადამთიელი და თვითონ დაილოცა. მეოთხე ჭიქაზე ლოყები აულაჟლაჟდა და პიჯაკი გაიხადა.

— მე, ჩემო ძმაო, იმდენი ფული მაქნაშოვი და მერე ნახარჯი, ქე რო არ მოელანდება ბევრს! — კუთხურად წაუქცია და თავისი შეავსო, იაშა აღარ სვამდა.

— მთელი საიუზი მაქ მოვლილი. რაც მე იქნა ბავშვები მაქ ნაკეთები, მტრისას! — სიცოლით სცადა შეენიღბა ის ფაქტი, ძეხვის ნაჭერი რომ დაითრია მარტოცხენით.

— ახლა, ბატონო, ჩემ ოჯახს ვუვლი. დამთავრდა გულაობა. ფულსაც სადღა იშოვი იმდენს, კაპიკებზე ვმუშაობ. დღეს, აგერ, ექვსი ლარი დამარჩა. დილის ხუთი საათიდან ძალივით ვარ გამოგდებული სახლიდან.

იაშამ გადაბრეცილ ფეხსაცმელზე დახედა თენგოს, ამ უკანასკნელმა კი ყუთებისკენ გააპარა თვალი, არ იფიქროს ვიტყუებო და დაამატა — მთელი თვე ვაგროვებდი ამის ფულს და ერთ კვირაში შეჭამენ, შვიდი შვილი მყავს.

იაშამაც გახედა ყუთებს, მერე ისევ ფეხზე დახედა და ჰკითხა: — სად მუშაობ?

— სტაიანში ვარ... ბაზარში.

— რამდენი ბიჭი მყავს?

— ერთი. გოგონა სუ მაგისი ხათრით გაკეთებული არიან. — გაიცინა.

იაშას კი თავისი ერთადერთი ვაჟი გაახსენდა, ამ რამდენიმე წლის წინ რომ მოუკლეს.

— მარტო შენ მუშაობ?

— მარტო მე ვმუშაობ. ბავშვები სწავლობენ, ცოლი ავათა მყავს, კიბო აქვს. იაშას ნაოჭები დაეტყო.

თენგო უდარდელად ილუკმებოდა. რაღაც აბდაუბდა სადღეგრძელოებს ბურტყუნებდა თავისთვის და სვამდა.

იაშა აღარ უსმენდა. ფიქრებში ნავიდა. შეეცოდა ეს კაცი. წარმოიდგინა, როგორ წვალობს და არჩენს ოჯახს. ალბათ რამდენი რამე სურს და არ აქვს. თვითონ ყველაფერი აქვს სურვილების გარდა. ისევ შეათვალა ნინ მჯდომი. საწყალი, გლეხური სახე ჰქონდა. ალბათ იმაზე ასაკოვნად გამოიყურება, ვიდრე სინამდვილეშია. ხელებიც როგორი დაკოჟრილი აქვს. იმ კაპიკებით, ახლა მატარებლის ბილეთზე რომ დაზოგა, შეიძლება ერთი მეტი პური მიუტანოს შეილებს.

— ის ჩათლახი სოცმუშაკი კიდე მეუბნება, რა გქნა გენაცვალე, სხვანაირ ქულებს ვერ დავცინერ, რაკი სახლში ტელევიზორი გაქვს, ზნაჩიტ უკიდურესად

გაჭირვებულად არ ჩაითვლები. მეტი, შე კაი ქალი, ეგ რა ტელევიზორია, ათა-პაპას დროინდელი, სტაიანის გვერდით, სანაგვეზე ვიპოვე და ნავილე, შავ-თეთრი, ლამპებზე. არაო!

იაშა ვერ მიხვდა რა ქულებზე ელაპარაკებოდა თენგო. თენგოსაც დაეზარა ახსნა, ხელი ჩაიქინა და ნამუსრევის ალაგებას შეუდგა.

— იყოს, შეეშვით, გამცილებელს ფულს მივცემ და აალაგებს. — უთხრა იაშამ და ხელზე წაავლო.

თენგომ გაკვირვებულმა შეხედა. ჯერ აღშფოთება, მერე კი დიდსულოვნება დაეხატა სახეზე და უზარმაზარი მტევენები ერთბაშად მოხვია გაზეთს.

— რას ამბობთ, მეგობარო, რა ფულს გადაუხდით. ამ საქმეში ფულის გადახდა როგორ შეიძლება? ეგეთ რამეებში რო ფულს მიხდიდნენ... თქვენ რა, ციდან ჩამოვარდით? რა ფული, რის ფული...

იაშა მიხვდა, რომ რაღაც ისე არ თქვა, როგორც საჭირო იყო და შეიმშუშნა. თენგომ ჯიბიდან პარკი ამოიღო, ყველაფერი შიგნით ჩაყარა და მერე ჭიქებს მოავლო ხელი, წავლ, გავრეცხავო.

— საჭირო არ არის, ნამდვილად არ არის საჭირო! — ხელები გაასავსავა იაშამ, მაგრამ თენგომ იძალავა და კუპიდან გავიდა.

— რა კეთილი ადამიანია, — გაიფიქრა იაშამ და გადაწყვიტა ფული ერუქებინა. უცბად ვერ მოიფიქრა რა მიზეზით შეიძლება მიეცა. ალბათ კაცი იუკადრისებდა და უხერხული სიტუაცია შეიქმნებოდა. „იქნებ რომელიმე ყუთში ჩაუდოს?“

საფულე გახსნა, მაგრამ სანამ ფულს ამოიღებდა, გაიფიქრა რომ კარტოფილის ყუთში ფულის ჩადება სისულელე იქნებოდა, რადგან შეიძლება ვერც ვერავის ენახა.

აბა რა ქნას?

ამ ფიქრში კუპეს კარი ისევ გაიღო და თენგომ სველი ჭიქები შემოიტანა, იაშამ კი საფულე ისევ ჯიბეში ჩაიღო.

— შენს ცოლს დიდი ხანია, რაც?.. — სიტყვა „კიბო“ ესამუშა, „სიმსივნე“ ემძიმა და ველარაფრით შეცვალა.

— მეორე წელია რაც წევს. არც აქეთაა არც იქით, მაგრამ ახლა უფრო იქითაა — ნამლებს ფული არა მაქვს.

იაშას მოეჩვენა, რომ თენგო ცოტა გალიზიანებული ლაპარაკობდა ცოლზე. ხანდახან ასეც ხდება, როცა საყვარელ ადამიანს ვერაფრით შევლი ისევ მასზე ბრაზდები.

იაშამ ვერ დაამშვიდა თანამოსაუბრე. არ სჩვეოდა თბილი სიტყვები. უხერხული სიჩუმე ჩამოწვა. მხოლოდ თენგო ამწკლავუნებდა ტუჩებს.

სწრაფი მოძრაობით ამოიღო საფულე და გახსნა. შიგნით რამდენიმე ას დოლარიანი იდო. გადაითვალა და შვიდი გამოვიდა. თენგომ ცერად ჩახედა საფულეში და თვალი აარიდა. იაშამ მოასწრო მისი მზერის დაჭერა და რაღაცნაირად შერცხვა.

— ახლა, ცუდად ნუ გამიგებ, მაგრამ რაღაცა მინდა შემოგთავაზო.

თენგომ გამომცდელად მოწკურა თვალეები და გვერდულად შეხედა.

— არ იფიქრო, რომ მოწყალეა ან რამე მაგვარი... მოკლედ, სესხად გაძლევ... მერე დამიბრუნებ რა! — იაშამ ამაზე საუკეთესო გზა ვერაფრით მოიხადა ფულის შესათავაზებლად და ერთი ცალი ას დოლარიანი მაგიდაზე დაუდო.

— რას ამბობთ, ჩემო ბატონო, ვალის გასტუმრების და პროცენტების თავი რო მქონდეს... — იაშას მოეჩვენა, რომ თენგოს სიმწრის სიცილის უკან უნდობლობა და შიში იმალებოდა. „ვინ იცის იფიქრა მევახშეაო?“

— არა, რა პროცენტი... მოკლედ, უბრალოდ ვალია... ვალადაც ნუ ჩათვლი, როცა გექნება გექნება, არა და... — იაშას ენა დაება და თანამგზავრის შეშინებულმა სახემ სულ არია. — როცა გინდა მაშინ მომეცი, უფრო სწორად კი, საერთოდ არ მომეცი, საჩუქარი, რა.

იაშას სინითლე თენგომაც შენიშნა. კუპეში ისევ ჩამოვარდა სიჩუმე. იაშამ აღარ იცოდა სად წაეღო ხელები და გულისჯიბიდან პორტსიგარის მაგვარი რაღაც ამოიღო. გახსნა და შიგნით ჩაწყობილი სასაჩუქრე სანთლებიდან ერთ-ერთი ამოიღო და ისევ უკან ჩააბრუნა.

— თქვენ მორწმუნე ხართ? — და-

დასასრული მე-10 გვერდზე



„ერთი მოთხრობის კონკურსის“  
პირველი მხარე მომწოდებელი  
მოთხრობა

ცხომრება ავინყვეთ. საგაზეთო სტატიების ასე თუ ისე სტაბილური ჰონორარი მქონდა და მუდმივი, წესიერი პარტნიორი მყავდა, რომელსაც არც თუ შორეულ მომავალში წარმატებულ კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ. ჩემს ორეულსაც, ხატვის ხარჯზე არა, მაგრამ „კიდობნის“ დღიური ხელფასით გაჰქონდა თავი, შენ – ხელმოცარულმა ეგვიპტოლოგმა ქალაქის წყლით მომარაგების კომპანიაში დაიწყე მუშაობა და დილის 9-დან საღამოს 6-მდე მინამაჩიამარხულ წყლის მიღებს ეძებდი გარეუბნებში.

თავისუფალ დღეებში მე და ჩემი ორეული ლუდსა და სარდლებს ვიმარაგებდით და ქალაქგარეთ მივდიოდით. ეს გასვლები წმინდაწმინდა იყო. უკაცრიელ მინდორზე გაჩაღებულ კოცონთან შემოიღებოდა ვინცმე ტრიალს საკუთარი ორბიტის გარშემო და ველურებივით გავეკიდით, რომ დედამიწა სულ უფრო მჭიდროდ ეხვევა სამუშაო დღეების ობობას ქსელივით უფერულ ბადეში - პლანეტის მთელ დასახლებულ ნაწილს მტკიცედ არტყია გარს ეს ჯავშანი. ადამიანები დედის მუცელშივე მზადდებიან ქსელში მოსახვედრად - მათ აქაურ ზღაპრებს უყვებიან, აქაურ მუსიკას ასმენინებენ, ბავშვობიდანვე უწერგავენ მუშაობით წელში გამწყდარი მამებისა და ფულით ნაყიდი ნივთების მოწინებას, ფულით რომლის საშოვნელადაც ადრე თუ გვიან თავადაც მოიწყვეტენ წელს. მათი უმეტესობა კი, ვისზეც ასე არ ზრუნავენ, პირდაპირ ირეცხება საზოგადოების კანალიზაციაში.

რომ შემოიღო მართონის მონანილევებს დრო არ გვყოფნის, დრო კი სარბენი ბილიკის მიღმა დგას და შეჯიბრის დასასრულს ელოდება.

ეს გასვლები მოთხოვნილებად მექცა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მითად იქეცი და ჩემი არსებობა დაივიწყე.

ერთ-ერთი ასეთ დღეს ამწვანებული მდელოების ნაცვლად სასაფლაოზე ამოგყავით თავი - შორეულმა ნათესავმა ჩემს მეგობარს ადრიატიკის სანაპიროდან დაურეკა და შვილის საფლავის მონახულება სთხოვა.

ერთფეროვან და მოსაწყენ გზას შენი მოყოლილი ამბებით ვამოკლებდი. ვიცოდი, რომ ყოველდღე სადღაც აქ, მოყაყანე ბრბოში დადიხარ და მინამაჩიამარხულ წყლის მიღებს ეძებ, მაგრამ ამ საქმის მთავარი და უბადლო მცოდნე მაინც სხვაა - ის, ვის ანბანშიც მამაზეციერს „ჭ“ და „წ“ გამოორჩენია („მგვანე კარის ტინ“ - თანამშრომლები ჩუმად ქირქილებთ) და კანალიზაციის ვირთხასავით ყნოსვით აგნებს ჩუმად გაყვანილ მიღებს.

გაზაფხულის პირველი მზე აქაური მტვრისა და სიბინძურის სქელ საფარში დაბალი ძაბვის ნათურასავით ანათებს. გარეუბნის მეტროსთან გაშენებული ეს ქრელი, მრავალათასიანი ბრბოს მძაფრი სუნით ჩახუთული ოაზისი ალყაფია, საიდანაც უდაბნოში მიედინებიან დაძონძილი, ყვითელი ავტობუსებისა და ფერგადასული მანქანების ქარავნები, გზადაგზა იტოტებიან და მრავალსართულიანი კორპუსების დიუნებს შორის უჩინარდებიან.

უკვე გითხარი, რომ შენს მოყოლილ ამბებს ვამღერებდი, როდესაც კორპუსების ტყის უკან მიჩქმალული, სოფელივით დასახლებული ადგილი გავიარეთ და ავტობუსმა ხრიოკ გზაზე გააჩერა, სასაფლაოსთან.

ბევრ მწერალს ალუნერია ბუნების თვალწარმტაცი ხედვები, ულამაზესი ქალაქები, გამოგონილი სახელმწიფოები, პლანეტები და და გალაქტიკებიც კი. არარსებული კოსმოსური აპარატები, მარსისა და მთვარის პეიზაჟები, წყალქვეშა ფლორა და ფაუნა, როდესაც ადამიანე-

რავი რავიანი

მოუეს ხალხი

ბი ჯერ კიდევ კარავლებით დასეირნობდნენ პლანეტის ზღვებზე. მაგრამ, მე თუ მკითხავთ, ამ შავი ჭირის სამეფოს - გარეუბნის ამ ტაფობის აღწერა, ნებისმიერ მათგანს ძალიან გაუჭირდებოდა. მხოლოდ ერთადერთი საშუალება არსებობს ამისთვის - კინო.

იმ ადგილებში აღმოვჩნდით, სადაც პაზოლინისა და ფელინის გმირები ბინადრობენ, უფრო კი - პირველის. შეიძლება, მდარე გემოვნების ბრალიცაა, რომ ამგვარი ჯოჯოხეთი ყოველთვის უფრო მიზიდავდა, ვიდრე რესტავრირებული, ტურისტულ ყაიდაზე გადაღებული ძველი ქალაქი. თუმცა მხდალი, ბაქია სულის სიღრმეში ვალიარებ, რომ აქაური, ნებისმიერ გამოყიერებული სიცოცხლის მძაფრი და თითქმის ხელშეხებაში სურნელისთვის მეტისმეტად სუსტი ცხვირი და ნებისყოფა მაქვს. ხელში პატარა ფურცელს ვატრიალებ, მეტროში რომ მოგვაჩქერეს:

“მხოლოდ ერთი დღე ყველაზე ვაჟაკური ორთაბრძოლა და ბიჭების დიდი რინგი ქუჩური ჩხუბი წესების გარეშე ფსონებზე

ქუჩური ჩხუბში მონაწილეობის მისაღებად ვინცე თბიჭებს 18-28 წლამდე რაუნდებს შორის ლამაზმანების მონაწილეობით მოეწყობა მოდების ჩვენება”

ჩვენი ერთმანეთს მანამდე ვიცნობდით, ვიდრე ქვეყანაზე ეს ქალაქი გაჩნდებოდა მთავარი არტერიის - მდინარის გასწვრივ, მერე გაიზღაზნებოდა და ტალახის გუბესავით აიძვრებოდა ამ გარეუბნებზე; მანამდე, ვიდრე ფარაონები მონებს ყურებზე დააჭრიდნენ ხახვს და ევა ადამს აცდუნებდა. მანამდე, ვიდრე ვარდისფერი საპნის ბუშტები დასკდებოდა და თავზარდამცემი შიშისა და ეჭვის წარღვნად იქცეოდა - მეშინია და მშურს შენი, ვინც უკანონო წყლის მიღებს ეძებ საიქიოს უდაბნოში და სიცოცხლის სუნი აგდის; ვისაც დედის მუცლის შემდეგ მყუდრო ადგილი ვერ გიპოვია და იძულებული ხარ, ცოცხალი გადარჩე. მე კი დამფრთხალი ვირთხასავით ვიკეტები სამზარეულოში და ზამთრის მარაგს დავკანკალებ.

ტაფობი გადავჭერთ და შემოვლობავ სასაფლაოს მივადექით. დაბალი, ფანტასტიკური ბარდები ცელულოიდის პარკების ქრელ საბანში თვლემენ. ძნელი სათქმელია, სანაგვეა თუ სამუდამო განსასვენებელი. ცემენტის დაბალბიანი, ღარიბული საფლავების ბინადრების ვინაობას მხოლოდ რკინის ჯოხებზე დამაგრებული თუნუქის ფირფიტები გვამცნობს. ბლომადაა უზარმაზარი, მარმარილოსა და ბაზალტის უგემოვნო აკლდამებიც გულისამაჩუყებელი, მიამიტური ეპიტაფიებით.

- აქ, - ჩემი თანამგზავრი სწრაფად პოულობს საჭირო საფლავს - აქ არის.

ესეც ჩვეულებრივი, ღარიბული სამარეა. მხოლოდ გვერდებზე თეთრი ხრემით მოფენილი. აქაც თუნუქის შავ ფირფიტაზე წერია თეთრი საღებავით განსვენებულის ვინაობა. ნარწერა თითქმის შეუჭამია ჟანგსა და გადაუცლია ჩრდილოეთის მუდმივად მქროლავ ქარს. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ, როდესაც მინასა და საღებავში ამოთხვრილი ხელებით ფრთხილად მოუკიდე სიგარეტს და გულდასმით მოვათვალიერე იქაურობა, მივხვდი, რა საჭირო იყო სწორედ ჩრდილოეთის მხრიდან ვერცხლისფერი თუნუქის პლასტებით შემოვარული ჯიხურები, სადაც ქარისგან დაცული მაგიდა და ძელსკამები იდგა.

პირველ რიგში, სამარე ნაგვისგან გავასუფთავეთ და სარეველები ამოვძირკვეთ. ამას რომ ვაკეთებდით, ორივე ერთმა აზრმა შეგვანუხა: მე ბაბუაჩემის მოუვლელი

და დიდი ხნის უნახავი საფლავი გამახსენდა, ჩემს თანამგზავრს - მამის:

- ნარწერა კი არ არის. ერთხელ მამიდას საფლავები აერია, სხვისი განმინდა. რომ მიხვდა, სიმწრისგან ატირდა - ბოლო საორველა ამოძირკვა და წელში გაიმართა. - რას იტყვი, აქვე რომ გადავყლურნოთ ორიოდ ყლუპი, ხელის დასაბანად შორს მოგვინვეს ნასვლა.

ნარწერა განვაახლეთ. ახლა უკვე თეთრით შავზე გადასარევედ იკითხებოდა:

“ველჩენკო ვ. ა.  
12.02.1978.  
3 ადგ.”,

მეტროსთან ნაყიდი ნარცისები დავანყვეთ და ბორდიურზე ჩამოვსხედით. ახლა ჩვენს განკარგულებაში რამდენიმე საათია, დაბნელებამდე. პირდაპირ მათარიდან ვსვამთ კონიაკს და ორცხობილებს ვახრამუნებთ, ხუთიოდ მეტრში თავს ახალგაზრდა ქალის მომღიმარი სახე დაგვყურებს მარმარილოს შავი, უზარმაზარი ლოდოდან.

ჩემი მეგობარი განსვენებულის ისტორიას მიაბობს, რომელიც ესპანეთში თავისივე თანამემამულემ გამოასალმა სიცოცხლეს:

- ფულის გამო. ორი შვილი ჰყავდა და ფულს აგროვებდა, განათლება რომ მიეცა. ცინკის კუბოთი ჩამოასვენეს. ცოლმა დაიჟინა, ორ დღეზე მეტს არ გავაჩერებო. ფეხებზე ეკიდა. მხოლოდ დედამისი რეკავს ხანდახან იტალიიდან და მთხოვს საფლავს დაეხედო. რას გაიგებ.

აქ ადრეც ბევრჯერ გამოჰყოლია დედამისს, ვიდრე ქალი გაემგზავრებოდა რძლისა და შვილიშვილებისგან შორს, იტალიაში, ქვეშაფსია მოხუცებისთვის რომ მოველო, მერე მათი ჭირვეულობით თავმოებურებულს საერთო საცხოვრებელში ეცხოვრა და ქვეყნის მთავრობის ხარჯზე ესადილა საზოგადოებრივ სასადილოში. საღამოობით კი, მასზე იღბლიან რუს ემიგრანტ ქალთან ერთად, ორიოდ საყვარლის შოვნა რომ მოახერხა, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე მჯდარიყო და ერთმანეთისთვის გული გადაეშალათ.

მე და ჩემი ორეული ერთდროულად გავჩნდით ამ ქვეყანაზე ისე, რომ ახლაც ვერ გამიგია, ვინ რომელია.

ჩრდილოეთის ქარის ბურუსში ჩემს წინ ადამიანი ტივტივებს საკუთარი უთავბოლო სიზმრებიდან. გარს უზარმაზარი ნაგავსაყრელი-სასაფლაო გვაკრავს, რომლის მიღმაც უაზროდაა მიმოფანტული ჩამოძონძილი, უფორმო საცხოვრებლები და გაუკაცრიელებული ქარხნების ჩონჩხები. ამ ყველაფერს თავზე მდიდრული ჩაჩივით სასაცილოდ ახურავს მსოფლიოში ყველაზე ნატიფი ღრუბლებით მოარშიებული ცა.


ქარისგან შეღონებულები თუნუქის მყუდრო შემოფარებულში ვბარგდებით და მიაბობს, როგორ აებნა გზა აქეთ მარტო მომავალს და ებრაელების ძველ სასაფლაოზე შემოაღამდა. ავი ძაღლების ხროვასა და ლაბადიან კუზიანზე, რომელმაც იქიდან გამოსასვლელი გზა აჩვენა. თუნუქის პლასტზე მისი ნატიფი პროფილის ჩრდილი ირხევა და

ხმამალა ვიმეორებ, ჩემი სიზმრის ადამიანი ხარ და ასეთი მშრალი, მინიერი და ქედმაღალი მე რომ არ დავბადებუ-ლიყავი, ნამდვილად შენა და - პლასტზე არეკლილ ჰაეროვან ჩრდილად მოვევ-ლინებოდი ქვეყანას-მეთქი. აქ სხვა სამარის დარაჯი, ჯვარზე გაკრული გალი-ლეველი გვითვალთვალეს. მათარაში დარჩენილ კონიაკს ვწრუშავთ და ვიბარგებით. წინ ძველი ებრაელების სამოთხე გველის.

მიღრმე ცემენტის ლობეზე შემდგარი აქაური მესაფლავე ჩემს თანამგზავრს თითით უჩვენებს უსასრულო გზას მრავალსართულიანი სახლების წყვეტილი ჯაჭვით გარშემორტყმული დაბალი ბორცვებისკენ, მე მის ზურგს უკან ვდგავარ და ვუსმენ. მოსმენა მიყვარდა.

ვიდრე ვარდისფერი საპნის ბუშტები დასკდებოდა, თითქმის ყველაფერი და უფრო მეტიც ვიცოდი შენზე. ერთმანეთის მიყოლებით ხელმეორედ ჩაიარა ეგვიპტეში გატარებულმა წელიწადნახევარმა, რომანმა კრისტიანსთან, რომელიც იქ ნარკოტიკებისთვის თავის დასაწებლად ჩამოვიდა და შენ გადაგყარა, იტალიელმა სტუდენტებმა, საღამოობით ამერიკის საელჩოსთან რომ ისხდნენ, აკუსტიკურ გიტარებს აჟღარუნებდნენ და კრეტინებივით გაჰყვიროდნენ პეაცე, პეაცე, მალუმ, ერთხელ რომ გამოესარჩლე მეგობარი ბიჭისგან ნაცემს და მას შემდეგ მადლიერების ნიშნად შენთან გადმოინაცვლა, ტურისტებისთვის აკრძალულ დროს პირამიდებში, სრულ სიმარტოვესა და სიჩუმეში გატარებულმა ნახევარმა საათმა, კალიების დიდი გადაფრენისგან გადანიღებულმა ცამ, არაბების ქორწილმა ბულაყში - კაიროს ყველაზე კრიმინალურ უბანში, სკოლაში სწავლის და ბავშვობის წლებმაც კი. თვითონაც გიყვე-ბოდი, მაგრამ ცოტას და მესანე პირში. ერთხელ მოზრდილი თავის ნაკითხვა გთხოვე გზიუპერის “ადამიანთა მიწიდან” - პრევისა და ანტუანის გადარჩენა უდაბნოში, მათ დასახსნელად, ვინც ელოდებოდა. ხმამალა კითხვა ცუდად გამომდისო. ამის შემდეგ ხშირად გთხოვდი გეკითხა.

ჩემი პრევი ჩემივე უთავბოლო სიზმრებიდან მოვიდა, ერთდროულად დავიბადეთ და ახლაც ვერ გამიგია, ვინ - რომელია, შენ კი ამ დროს მოშესავით იდექი სინას მთაზე, ზურგიით ბებიაქალისკენ, რომელმაც დედაჩვენი ამშობიარა და ფეხებზე გეკიდა ტკივილი, უკვდავი იყავი,



დასასრული მე-10 გვერდზე



\* \* \*

არაგველებო! სამშობლო გეძებთ! —  
 გეძებთ და შუბლი ფიქრმა შეთრთვილა,  
 რად სდუმან მთები მამულის მკერდზე  
 უფლის ცრემლებად ჩამოკრეფილნი.  
 არაგველებო! მამული მტკივა —  
 ნამლად დამადეთ მამულის წყლულებს,  
 მძიმე სენი სჭირს სამყაროს მთლიანს  
 და ვერ ისვენებს მსოფლიო სული.  
 არაგველებო! რად გვინდა სისხლი —  
 თუ არ ბორგავს და შიშმა დანისლა,  
 თუ არ იქნება სამშობლოს ღირსი  
 რომ საქართველოდ იქცეს კრწანისთან.  
 არაგველებო! მოვიკვი ქარებს  
 და მყუდროებას ვურღვევ სასულეთს,  
 არაგველებო! გაშალეთ მთვარე  
 და ჩემს სამშობლოს მხრებზე დაჭურეთ.  
 არაგველებო! სამშობლო მტკივა —  
 სამშობლო — უფლის მუხლთა სასვენი,  
 არაგველებო! ამინთით დილა  
 და ჩემი ქვეყნის ზეცა გახსენით.  
 არაგველებო! მწუხრი წევს მყინვარს,  
 გონება ვერის — სიფრთხილე გმართებს,  
 არაგველებო! სამშობლოს სტკივა,  
 სამშობლოს სტკივა — ღვთისმშობლის სანთელს.

\* \* \*


ჩემი გონების ნაშალსა ვლრნი და  
 ლექსის ძველისძველ ვისტუმრებ ვალებს  
 და ვატრიალებ ყოველი მხრიდან  
 თვალებს — ცრემლებში განთობილ კალმებს.  
 ჭექა-ქუხილის ვსაუბრობ ენით,  
 ჭექა-ქუხილით ბრძანებას ვისმენ  
 და ყოველდღილა გონება ჩემი  
 მთვარის მკრთალ სხივებს მიჰყვება ცისკენ —  
 და მიღმეირი სამყაროს ხიბლით  
 შევბას არ მაძლევს სული წყეული,  
 წუთისოფელი სიცოცხლით მიბრის  
 სიკვდილით მიბრის მხოლოდ სხეული  
 და დავნანალებ საფლავებს შორის  
 შავი ნისლივით ლანდი უსახო,  
 ციდან ვარსკვლავებს მიზიდავს ქარი,  
 რომ დედამიწას ჩამოუსახლოს.

\* \* \*

ჩემს თავზე უცხო ფრინველი,  
 ტრიალებს, არა მცილდება,  
 მივიღივარ, მომსდევს — ჩვენს შორის  
 მანძილი არა მცირდება.  
 ხან დამიფარავს მზის სხივებს,  
 ხან ისევ გამობრწყინდება,  
 ნეტავი შენა, ფრინველო,  
 არ გლის და არა გწყინდება.

\* \* \*

წუხელ ნანახო სიზმარო,  
 ნეტამც კი ამიხდებოდე,  
 ჩემს საძვალესთან ყორნები  
 მოზარეებად სხდებოდნენ.  
 მე მჭირდეს ყველას ტკივილი  
 არავინ იტანჯებოდეს,  
 ჩემს ძვლებზე ტურფა იანი  
 ყვაოდნენ, არა სჭკნებოდნენ,  
 გარს მესხდნენ შავნი გველები  
 ჩემს ფიქრს ლექსებად ჰყვებოდნენ.  
 სად ჩემი ლანდი ჩადგება  
 ზეცა იქ ჩაიხსნებოდეს,  
 იქ მიდგეს ცისკრის ვარსკვლავი  
 სანთლად იქ დაინთებოდეს,  
 მთვარე მიკმევდეს საკმეველს  
 სუნი სამყაროს სწვდებოდეს,  
 ნაგლოვი მიღმა მხარისა  
 ცას ცრემლებად სწყდებოდეს,  
 დიოდნენ სულნი ნისლივით  
 ჩემს გულისპირზე წვებოდნენ,  
 მე ვიდგე ნათელივითა  
 თვალნი სადამდიც სწვდებოდეს.  
 სიცარიელეს ვავსებდე  
 ჩამქრალის ნაკლულისასა,  
 მივხვეტდე, მკერდით მივრევდე  
 ფერფლს ჩანაცრული მზისასა,  
 ოთხივეს კუთხით ვისმენდე  
 ჩურჩულს ღვთის ზარებისასა,  
 ვუნთებდე სულთა სამყაროს  
 ცეცხლს ჩემის თვალებისასა,  
 მლოკავდნენ ცეცხლის ალები  
 ფერს ვერ მიცვლიდნენ მგლისასა,  
 სადაც მუხლს დავცემ ცის ზურგზე  
 იქ — დავამჩნევდე ნიშანსა.



ტარიელ ხარხელაური

\* \* \*

ნეტა რა გეტაშება,  
 ვის დაკრულზე ცოფვილობ,  
 როცა ცრემლი არ შრება  
 გულო კეთილშობილო.  
 დამცხრალია ჭენება —  
 როგორც ქართა თამაში,  
 რაღაც საშინელება  
 შეფარულა ამაში.  
 საით გაგინევა,  
 ჩემო თალხო აჩრდილო,  
 ლანდების მისტერია  
 მზეშიც გამოვჩინოთ.  
 ახლა უფრო ხშირია  
 შემოტევა ნამების,  
 ნაკლებად მეშინია  
 მძაფრი შემოღამების  
 და ღრუბლების დინებას  
 კვალზე ავედევნები,  
 ქართა აქეთინება —  
 მთვარე ანაცრემლები.  
 ნეტავ რა გეტაშება —  
 ვის დაკრულზე ცოფვილობ,  
 როცა ცრემლი არ შრება  
 გულო, კეთილშობილო.

\* \* \*

მოდით ამ ღამით — ჩემთან მთვარეა,  
 მთვარე ჩუმი და მიუსაფარი,  
 მოდი, მზედ მოდი, მზეო მარიამ,  
 ჩემი სამყაროს ზურგი დასძარი.  
 მოდი, მდუმარე აჰყარე მთები  
 ცრემლად ჩამკიდე კლდეებს ფრიალოთ,  
 მოდი, ჩემს სხეულს შეასხი ფრთები  
 ქარში გავიდე სახეტიალოდ.  
 მოდი, ძვირფასო, მთვარის ამარა  
 ნუ შემატოვებ ამ ცბიერ ღამეს,  
 თორე ამ სივრცეს — როგორც სამარეს  
 ჩემს შესახვედრად ვარსკვლავნი რთავენ.

\* \* \*

ამკივლა, შემზანზარა,  
 შევკრთი ორპირი შეთქმული,  
 ჩემს სახატესთან დამდგარა  
 მამა ჭალარაშერთული.  
 მხრებზე დამანყო ხელები,  
 ავკვლევ, მიწისფრად გავშრები,  
 ვის ხატებს მიეფერები  
 შე შობელძაღლო, რას შვრები!  
 ამნია, კედელს მიმანდო,  
 ჩამომისწორა მაჯანი,  
 ყელზე სიბრტყელად მიმადო  
 სამლარიანი ხანჯალი.  
 ხელი მკრა, იქვე მიმაგდო,  
 აღარ გნახოვო საჯარეს.  
 მაღალო ღმერთო, რა მომდის,  
 ეს რა სიზმრები მტანჯავენ,  
 სხეული გარეთ გამოვდგი,  
 გამოვიკეტე საძვალე.

\* \* \*

ცა ისევ ცრემლით მოვცრემლე,  
 სულს სატკივარი მინაცრავს,  
 დაჰლილხარ წუთისოფელო,  
 შენი დროც ჩამომარცვლა.  
 შენი დროც ჩამოილია  
 როგორც ყველასი იღევა,  
 შენს ირგვლივ ჩემი ჩრდილია,  
 მე შენი ძვლების მღვიმე ვარ.

\* \* \*

სცენა...  
 სადაც სულს ფრთები დამეტვრა  
 და სისხლისფერ მტვრად განიმცვრა  
 უკან,  
 ქარი — ღვთაებრივ ჰანგთა მაცსტრო  
 ნისლთა კამერულ ორკესტრთან  
 უკრავს.  
 შენ კი ხარხარებ, როგორც ყოველთვის  
 როცა ნათელი შესცვლის სამთვაროს,  
 მინაზე —  
 გაჩნდი როგორც პოეტი,  
 შემლილის მარტივ ნიღაბს ატარებ.

\* \* \*

გავტანჯე მიღმა სამყარო  
 ცაზე ფიქრების წერითა,  
 ლეჩვით დამცვლარის ეჭვებით,  
 გახუნებულის რწმენითა.  
 სად სჭკნებით, ჩემო ყვავილნო,  
 ნათიბნო ჩემის ცელითა,  
 ჩამობინდული თვალებით  
 მტვრადქცეულთ ჩამოგცქერიოთა.  
 აღარ მხიბლავენ ნისლები  
 თავისი მშვიდი გალობით,  
 თქვენგან ვიყავი ჩვეული  
 მცირედ მხოლოდ თქვენ მწყალობდით.  
 თქვენ მე მავსებდით, მე თქვენა —  
 ერთიმეორით ვხარობდით,  
 ვისწრაფებოდით შეყრასა,  
 გაყრას აღარა ვჩქარობდით.  
 ავდევდით დილის ნიავსა,  
 თავ-თავის ხმაზე ვჩქამობდით,  
 ვტირი და... ცრემლის მაგივრად  
 თვალთავან სისხლი ჩამომდის.

\* \* \*

მ. ჩიტიშვილს

შენს ლექსთან, როგორც ხატის წინ  
 ქედდადრეკილი ჩავივლი,  
 ჩავინავლები ცეცხლიდან  
 ამსხლტარი ნაპერწკალივით,  
 რომ არ მრცხვენოდეს — კაცობის,  
 ავტირდებოდი ქალივით.

\* \* \*

ხომ გიკვირს...  
 დაწყლულებული დამაქვს გული და  
 ვეკითხნებ,  
 ვიდრე შემეძლო —  
 ვუძლებდი, ვიდრე შემეძლო — ვითმინე...  
 ახლა კი, როცა  
 ტკივილმა გულის გარედან გაჟონა,  
 ირგვლივი შეატორტმანა  
 ჩემი გონების ნაჟრჟოლმა...  
 ნუ მეტყვი,  
 ნურაფერს მკითხავ — აქამდის როგორ ვმაგრობდი,  
 მტვერში გართხმულმაც ვიარე,  
 გზის სწორადაცა ვმალლობდი,  
 არარა დამრჩა, ვინც მირტყა,  
 ჩემგან ნათქვამი მადლობით...

\* \* \*

ნათელი სივრცის ნახევარს ფარავს,  
 ნახევარს მხოლოდ ჩრდილი მოჰფინა,  
 ღრუბლებით ცერად ჩაჭრილი მთვარე  
 მარტივი ხედი ჩემი პროფილის.

\* \* \*

დამალა შენმა ლოდინმა,  
 ქარაფთა ქართა სმენამა,  
 როცა ძალიან მწყუროდი  
 მაშინ არგამოჩენამა.  
 გულის ეჭვებით ბორგენამა,  
 მეტ-ნაკლებობით ტკენამა,  
 რაც რომ საწუთრომ დამაკლო,  
 ის დამიმატა ზენამა.  
 ჩემს მხრებზე შავი ღრუბლების  
 ხშირ-ხშირად ჩამოფენამა,  
 დილით ხარვივით ბუბუნამა,  
 ღამით ცრემლების დენამა,  
 წუთისოფელთან ბრძოლამა,  
 სულ აქეთ-იქით ფრენამა.  
 ჩაჰლია გულის კედლები  
 ჩაგუბებულმა წყენამა,  
 ახლა გინდ მოდი, გინდ არა —  
 ფრთები დაჰკეცა ძერამა,  
 მე თავად გარდავიცვლები,  
 რომც არ იჩქაროს წერამა.

\* \* \*

თუკი მნადია, ვიტყვებ,  
ვინ რა დამიშლის ტირილსა?  
ცრემლია — მაღლი უფლისა,  
განმბანი ჩვენი ჭირისა.  
მადლობა, დამბადებელო,  
რომ გვილამაზებ ტკივილსა...

\* \* \*

ეს — პატარეკას ნასახლარია,  
ის — მგელასი, ტურების ხავილი რო ისმის,  
აგერ იქ, ბოლოში, ჩაქცეული სახლი როა —  
ღვთისავარის...  
მაღალი, მხრებში გასული, მწითური კაცი რო იყო...  
შენ ბაღად იყავ...  
ამათ კი დიდი ხანია  
რაც წუთისოფლის კარები გაიჯახუნეს.  
საბძლის სახურავს რომ უყურებ,  
ეს ცალთვალა დათასია, მჭედლისა,  
ცოლი ჰყავდა?! — კაბის ბოლოთი  
ნახევარ სოფელს ჰგვიდა,  
პირველი ქმრიდან რო გერი მოიყოლა —  
ისლა ცხოვრობს მაგ საბძელში,  
აბა, შენც შემოურბინე თვალთ სოფელსა და  
მერე გაიკვირვე  
დაღრუბლული შუბლის ყურება...

\* \* \*

ნუ შემადარებთ ყვავილის ფოთლებს,  
ნურც მთვარეს ცაზე დაგდებულს ზურგით,  
მე უფრო ვგავარ ნიადაგ მბრუნავს  
მთათა წვერებზე მიფენილ ღრუბელს.  
მე ბილიკი ვარ, რომელზეც მგზავრი  
რადაც ფარული სიმშვიდით მიდის  
ლანდი ვარ მიწის, არ ვგავარ არვის —  
უზომოდ მცირე, საშინლად დიდი,  
ქარიშხალი ვარ, არ ვგავარ ქარებს,  
დიდება სიკვდილს, სიცოცხლე მიმიძის,  
ცა რომ ტორტმანებს, ეს მე ვხარხარებ —  
ჩემი სისხლია — მიწა რო იძვრის!

\* \* \*

ჩამოვრჩი მგზავრებს, წყლის პირზე  
ჩამოვჯექე, ჩამოვისვენე...  
ვეწურჩულები წყლის ტალღებს  
არაგულით რამ მისმენენ.  
ზევიდან მოდგნენ ქარები  
მზის სხივი ჩამომისვენეს,  
აუსვეს ენა, ალოკეს  
თვალზე მომდგარი სისველე...

\* \* \*

გზებს ვკეტავ საიქაოსთვის,  
კლდენი ჩავუდგი კარებად,  
თქვენ ჩქარობთ, წუთისოფელო,  
მე არსად მიმეჩქარება,  
არც არაფერში მჭირდები — საშენად,  
მოსახმარებლად,  
ყველა მხრის ვიცი სავალი,  
შენგან არ მიწადა სწავლება,  
მიბრძანდი, ის გიმასპინძლებს,  
ვინც ჩამოგმარცვლა წამებად.

\* \* \*

თუ მომწონს, ვიტყვი, რომ მომწონს,  
არ მომწონს, ვიტყვი ამასაც...  
ვერ იქნა, ვერ დავაჯერე  
ჭკვას არც ის ატანს ძალასა.  
მერე თვეობით ვალაგებ  
ბეჭებზე აშლილ ბალანსა,  
ნეტა რა ხელი აუვა  
ამის ყურების ბანასა.

\* \* \*

აქ ვერა ვქენი,  
ვერ ვიქამ იქაც,  
შეშლება საძნედ შეკრული ულო,  
ქვეყანა — ვირთა ფარეხად იქცა,  
ვის ვეფერო და ვის ვუერთგულო...

\* \* \*

სად წახვალ, ასეთ ქარბუქში,  
ძალს არ უშვებენ გარეთა,  
რაც ძალზე გამოვიგონეთ,  
კაცს ნულარ დაბრალებთა,  
შენ კი როდემდის იდგები  
თვალცრემლიანი კარებთან...  
ვინ მისცა სახლი, საწოლი,  
სულს მობუბუნეს ქარებთან?!  
რაც უნდა ვიყო, ვინც არა,  
ძალს ნულარ დამამგვანებთა,  
მიმკერძეთ ღამის აჩრდილებს  
ჩემფერათ მოწანწალეთა,  
ნურც ვინ ქარბუქით მაშინებთ,  
ნურც ნურვინ შემობრალებთა,  
არც არვის დგომა მჭირდება  
თვალცრემლიანის კარებთან...  
არ დაგიცივდეთ ძაღლები,  
ნუ გამოუშვებთ გარეთა.

\* \* \*

ქარი მიწის მტვერსა ჰხვეტავს,  
გადაჰფინოს ცასა — ცდილობს,  
როგორ ჰფიქრობ, რატი, ნეტა,  
საქმეს სწადის სასაცილოს...  
ამას მხოლოდ გიჟი შერება,  
ჭკვათმყოფი იქამს შეილო?!

\* \* \*

სისხლმა წაღეკა სამყარო,  
ცრემლს მიაქვს მთა და ბარია,  
სად მხარი გდია ნაკორტნი,  
სად დაღენილი მკლავია,  
არც არვის დამმარხავი ჩანს,  
მკვდარს ასაფლავებს მკვდარია...  
საფლავის კართან ჟანგდება,  
ჩამონყვეტილი ზარია,  
არავინ ამბობს ცოდვას,  
არც იმას — დიდი ბრალია,  
აბორგენული მოჰქმინავს  
სისხლში ნაბანი წყალია,  
ასე რად განყრა გამჩენი —  
ყველა ერთად რომ დალია.

\* \* \*

მე მიკვირს კაცის —  
როცა ასეთ შეკითხვას მაძლევს,  
რომლის პასუხიც წინასწარ იცის  
და თუ არ ვცდები —  
შემეკითხა მხოლოდ იმიტომ,  
შუალამისას —  
გაციებულ ბუხართან მიმჯდარს  
ამტეხოდ ტვინის ქავილი.

\* \* \*

თუ დააკვირდი, მეგობარო,  
მგზავრი რომ გავცდა —  
ჩემი სხეულის რომელ ნაწილს  
მიიდევნებდა?!  
ახლა მოხვედით?!  
უკაცრადად,  
ბოდიშს მოგიხდით —  
რას ვიფიქრებდი —  
თუკი ასე შეწუხდებოდით.

\* \* \*

ნასაკირალთან კუნელი დგას,  
შავი კუნელი,  
კუნელთან ღორი მიუბიათ  
ძალიან ახლოს.  
სავსეა ველი ყვავილების  
უცხო სურნელით  
რომელსაც ღორის შემზარავი  
სურნელიც ახლავს.  
იქვე მდინარე შემღვრეული,  
შეცვლილი ფერით,  
ლოდები სველი,  
ჭალა სველი, ბალახი სველი,  
ნასაკირალთან შაშვი გალობს,  
ვიღაცა მღერის,  
სიმღერის ტექსტის გარჩევაა  
საკმაოდ ძნელი.  
მთებიდან ნისლი მძიმე-მძიმედ  
დაბლა ეშვება,  
როგორც ყოველთვის —  
ვატყობ — ახლაც რაღაც მემულება.

\* \* \*

რაც უნდა მომიხდეს,  
რაც უნდა მოხდეს,  
ვერ შემიტყუებთ ვერაფრით სახლში,  
ამხედრებული ვარ შეინდის ჯოხზე

მიყვები ღელეს,  
ბოლოზე სოფლის,  
ქართაგან გავლილ წარაფს რომ ჩასდევს  
დგას ხეიბარის მიწური ქოხი  
და შავი ბოლი მიცურავს ცამდე.  
გავჭერი ცერად ცვრიანი მოლი,  
მივუალერსე ყვავილებს გაშლილთ,  
დედის მაგიერ ხმა ისმის ცოლის:  
— რას დანანწალებს, დაეგდოს სახლში!  
დაბერდა კაცი, ვერა გრძობს ასაკს,  
ბოლო დროს ვატყობ არ  
არის ჭკვაზე —  
სახლში ძველ ნივთებს მოიგდებს — რასაც  
გააქვს და აწყობს ნანვიმარ გზაზე,  
გუშინაც პეპლებს დასდევდა შტერი,  
სულზე მივუსწარ არაქათგაცილის  
და მთელ სახეზე შეშლილი ფერი  
ედო, ხარხარით კვებოდა კაცი...

\* \* \*

მინდორს გავცდი,  
კარგახანი მიყვებოდი ხეთა ჩრდილებს,  
გავიხედე —  
ტყისპირიდან მოდიოდა გოგო ვინმე.  
ახალგათენებულს ჰგავდა,  
მზე არ ჩანდა ცაზე კიდე.  
სულ სხვა მხარეს გატრიალდა,  
მეც მალულად გავეკიდე,  
ვდიე,  
ვდიე, ბეჩავ მუხლებს გავაცალე არაქათი,  
შენ იარე —  
მივანყველე — ჩემი ცოდვის ბარაქათი.

\* \* \*

მე თუ არა ვთქვი,  
შენ არა სთქვი,  
არა თქვა იმან,  
ან ვართ ყრუები, ბატონებო,  
ან კიდე გვძინავს...  
ეს რომ ასეა,  
ამიტომ გვაქვს თავში საცემი,  
სამშობლო,  
ცნება რომ გვეგონია მზა ტანსაცმელი,  
ვისაც სად გვინდა,  
როგორც გვინდა, ისე მოვირგოთ,  
მტერს ნურა კარგი,  
თუ ამ ყოფით რამე მოვიგეთ.  
ახლა ხომ მიხვდით, რაც მოგვწია,  
რაც ქნა სიყრუემ,  
ვით არშემდგარ ერს  
არშემდგარი ერი გვიყურებს.  
რა ლოდს ვახალო, სად წავილო  
თავი საწყალი,  
ყველა სულელი მე მარიგებს,  
ჭკუას მასწავლის...

\* \* \*

ცას მომწყდარ ვარსკვლავივითა  
ვიფერმკრთალებ და ვინვები,  
ჩემს თავს ტყუილად იფიცავ  
მალედევი დაგავინყდები,  
ახლა, მზეს იმას ამგვანებ,  
ვისი გვერდითაც ინვები...  
დღესავითა ვარ, ვმწუხრდები,  
ნათელისაგან ვიცლები.  
აღარ მიკითხავ რა მიჭირს,  
ჩემს ამბავს, როგორ ვიქნები...  
ისევ შენს ირგვლივ იბრუნებს  
ჩემი გული და ფიქრები,  
თუ რამ მჭირს, ჭირი — შენგან მჭირს,  
რა ვქნა, არ გამესხვისები...

\* \* \*

იორი, არავგი, ალაზანი,  
მთების სინდისი და ნამუსი,  
ღმერთო, ამათ ბორგვას ამამგზავრე,  
გავიდე მამულში.  
შენი ტერფის მტვერი მალაკვინე,  
მაყეფე, მაბლავლე, მადიდგულე,  
ღმერთო, ბრძოლის უინით მაროკვინე,  
კიდე ნამოგვშალე სადიდგორედ.



„იგი რა ნახეს, მესროლნი სროლასა მოეშლებოდეს! ალყა დაშალეს, მოვიდეს, მოეხვეოდეს, ბნდებოდეს“...

რუსთაველი

პასუშში კოტეტიშვილს, მართალია, ნადირობისა და თოფ-იარაღისა არაფერი გაეგებოდა, მაგრამ, მეორეს მხრივ, ბუნებაში მეგობრებთან ერთად გასვლა, მოლხენა-ლაღობა ბევრ მონადირეზე მეტად უყვარდა. განსაკუთრებით მთაში, ფშავ-ხევსურეთში, ლექს-კაფითი შეზავებულ არაგვისპირულ „მონადირულ“ სუფრასთან იცოდა სულითა და გულით ახავლებდა.

მისი პირველი შეხება მთასთან, „ცოცხალ“ ლექსთანა და ნადირობასთან, ჩემ ქორწილში მოხდა. ლამის გაგიჟდა და გადაიარია, ჯერ უნახავი ფშაველ-ხევსურთა კაფიაობა რომ იხილა. „სიტყვის მოჭრაში“ თავადაც ჩაერთო, მთელ ქალაქელ მაყრიონთან ერთად და... მაშინ, იმ აწყვეტილ მოლხენასა და სიცილ-ხარხარში ჩაისახა შემდგომი „პოეზიის საღამოები“. მოკლედ, ვახუშტიმ უცებ მოინადირა ფშაველ-ხევსურთა გულიცა და ხალხური პოეზიის სულიც. იქვე ფიც-ვერცხლით გაეფიცა ძმად ფშავის საუკეთესო ვაჟკაცსა და თავკაცს — გოგი თურმანაულს, შემდეგ შალვა არაბულს, გოგი ნიკლაურს და სხვას.

მეორე დღით „დილის მადლის“ შემდეგ, ვახუშტის, როგორც ქალის ძმასა და მაყრების უფროსს, პაპაჩემის ნაქონი ხმალი გადაჰკიდეს მხარ-ილივ და უთხრეს: შენი მაყრებით წესი დააყენე — სოფელი დაარბიე, ეზო-ეზო ჩამოიარეთ და ქათმები მოინადირეთო. ქათმების კრიახმა და სიცილ-ხარხარმა გააყრუა სოფელი. ვახუშტი ხმალდახმალ დასდევდა აქეთ-იქიდან შემოფრთხალ ქათმებს და თავებს აყრევიანებდა. შაბურათ ეზოში რომ შევიდნენ, ნადროვნებული ბიძა ივანე და მისი მუულღე დედუნა შემოეგებნენ.

— თქვენთვისაც უნდა დაგვეხოცა ქათმები, მაგრამ როგორც მოხუცებს, გაპატიებთო, — ბოდიში მოუხადა ვახუშტიმ.

— ვერა ჰყოფილხართ კარგი მაყარი, — ელიშობოდა ბიძა ივანეს.

— აბა, თუ ვერა ვარ კარგი მაყარი, ქათამს კი არა, აი, ამ ძროხას ნავიყვანო! — შესძახა ვახუშტიმ და იქვე რატომღაც დაბმული ძროხა ახსნა, განაფა და თან თვალი უძრავად მდგარი მოხუცებისაკენ ეჭირა. იმან კაფია მიაყოლა.

— რად გინდა ეგ ფური? „შენ ფური გინდა ისეთი, რო არაყ მაინველოსა“.

შორიახლოს მდგარმა სესიაშვილმა ხთისომ გააგრძელა.

— „დალევდი დიდი ყანითა, იმ ფურის სადღერძელსა!“

— გესმით, ხალხნო! — მაყრებს, გოგობიჭებს მიუბრუნდა ვახუშტი, — გამაგიჟეს, ვინ არიან ესენი! — მიეჭრა შაბურათ ივანეს, გადაეხვია და კოცნა დაუნყო. შიგნით კი თურმე სამაყრო ხინკალს ახვევდნენ.

მას შემდეგ ვახუშტი უფშავ-ხევსურეთოდ ველარა სძლებდა, ფშავ-ხევსურეთი უვახუშტოდ. მთაში ავიდოდი, ვახუშტის ამბავს მეკითხებოდნენ, ჩამოვიდოდი და ვახუშტი ჩამომაფქვევინებდა ახალ ლექს-კაფიებს. ხშირად ეპატიჟებოდნენ ქორწილ-ნათლობებში სათამაოდ. ისიც სიამოვნებით მოდიოდა, მთელი გულით მოილხენდა და ხალხსაც არნახულად მოაღებდა. ფშაველები ამას განსაკუთრებით დიდ პატივად თვლიდნენ, რადგან ძველიდან მომდინარე წესი იყო ლხინში ცნობილი მოლექსების მონვევა, მაყარში „გაუტყებელი“ მოკაფიების ჩართვა, ვინც ქალისა თუ ვაჟის ოჯახებში დახვედრებულ მოლექსებს დასჯაზნიდა.

უყვარდათ ვახუშტი და ვახუშტისაც უზომოდ უყვარდა ფშაველ-ხევსურნი. უნდა გენახათ, როგორი ანთებული თვალებით, ბოლომდე გახსნილი გულით, როგორი ალტაცებული შესცქეროდა ბაიაშვილებსა და ნიკლაურებს. რამდენ საერთოს პოულობდა მათ ხასიათსა და ბუნებაში. მთლიანად ერწყმოდა იმ გარემოს. მარტო ფშაველ-ხევსურებთან არა, ასეთი იყო ის ყველა კუთხის გლენთან და მე ვხედავდი რომ, ეს თბილისში

დაბადებული, უპირველესი ინტელიგენტი კაცი, ბუნებით უფრო გლენი იყო. მას თითქოს უფრო მეტ სიამოვნებას გვრიდა გლენის დაკოჟრილი თითებით ნაკრეფი მინდვრის ყვავილები, მათი სურნელი, თიხის თასი და ხის ჯამ-კოვზი, ვიდრე მდიდრულ-ქალაქური ზიზილ-პიპილოები.

„თუმც არასოდეს მჭერია ხელში ბარი და თიხი, ყოველთვის მენატრებოდა სოფლად მქონოდა ქობი“... ვახუშტი

ფშავ-ხევსურეთი მაინც გამორჩევი უყვარდა და ამის შესახებ „პოეზიის სცენიდანაც“ განუცხადებია საქვეყნოდ. სიცოცხლის ბოლო წლებში სკამს მიჯაჭვულმა, მანამდე „ჩაუმჯდომარე“ ვახუშტიმ მოიცალა და სხვა ბრწყინვალე ლექს-სონეტებთან ერთად ამოთქვა „ფშავ-ხევსურეთის სონეტიც“, რომელშიც თავისი გულით სათქმელი ლამარსა და გუდანის ჯვარში დასანთები კელაპტარივით ჩამოქნა:

„აქ პირველთაგან იყო ლექსი, სიტყვა ვით სეტყვა. აქ ყველა სიტყვის მუფფა, თანაც ტყვე არი. ყველა კაი ყმას წელზე ლექსი ხმალივით ერტყა. და გულზე ლექსის დაღი აჩნდა ვით ნატყვიარი.“

გიგი ხორნაული

ვახუშტის ნადირობანი

ქართულმა სულმა აქ ოდითგან იხმლო, იმშვილდა, ქავ-ციხის ლიბო არ დაშლილა, არ გამომპალა, აქ დღესაც ისმის მადლიანი ლოცვა ღვთისშვილთა, ხმობენ ლაშარი, იახსარი, ბერი კოპალა.

აქ ყოველივე მიგემნია ტკბილი თუ მწარე, გულზე ლექსების გუთნეული გამდევს ხნულებად, ვყოფილვარ ბევრგან, მაგრამ ქვეყნად არცერთი კუთხე, ჩემი სულისთვის უფრო ახლო არ მეგულუბა.

ჩემი სამზუო, საიქიო შავ-ხევ-სულეთი აკლდამა ჩემთა ოცნებათა ფშავ-ხევსურეთი.

— ჰა, როგორია? — გადმომხედა თეთრი წვერით გაბადრულმა, როცა ახლადდანერილი ეს სონეტი ჩამიკითხა. წამით დავმუნჯდი. — ბოლო რითმა ხო მაგარია?! კიდევ კარგი ისე არ მოვკვდი, ეს რითმა რომ ვერ მეპოვა.

— შენს მეტი ამ რითმას ვერავინ იპოვიდა-მეთქი, — დავუდასტურე.

— აბა, მამ, როგორ გგონია. შენ და სესიაშვილი თუ დათვებზე ნადირობაში მჯობნით, რითმებზე ნადირობაში მგონი დაგიჭოჭეთო.

\*\*\*

ჩვენ ოჯახს, მამაჩემს ეგრე მოუდიოდა — გვიან შემოდგომაზე, როცა საღმრთოს ან ქორწილს იხდიდა, სხვა სტუმრებთან ერთად, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ჩვენ მონადირე ძმაკაცებს ვეპატიჟებოდით — ქეიფის წინა დღეს ნადირობას ვაწყობდით. ეს განსაკუთრებით თბილისიდან მოპატიჟებულებს უხაროდათ. მათ რომ უხაროდათ, ჩვენ ეს მათზე მეტად გვიხაროდა, მითუმეტეს თუ ნადირობა შედეგაიანიც იქნებოდა. ნანადირევსაც ტყავგაუხდელად ვატანდით ქალაქში.

მთიელებს ვახუშტის ხილვა უხაროდათ ყველაფერზე მეტად. წინასწარ მეკითხებოდნენ ხოლმე: „ვახუშტი ხო იქნებოა?“ „ვახუშტის ხო ეპატიჟებითო?“ იმას ჩემი დაპატიჟება აღარა სჭირდებოდა. ის კი არა, თავად ეპატიჟებოდა სხვას, „მთაში ნაყვანის ღირს“ თავის მეგობრებს.

ჩემი უმცროსი დის ქორწილი გვექონდა. ქალაქური ნაკრებით ავედით ორი დღით ადრე, მოგროვდნენ ფშაველებიც, მათ შორის ხთისო სესიაშვილიც, ვისმა კაფიობამაც ჩემ ქორწილში განსაკუთრებით „გააგიჟა“ ვახუშტი. იმ ღამეს, ქეიფში იოლად დაიყოლიეს ვახუშტი — ხვალ შენც ჩვენთან ერთად უნდა ნამოხვიდე სანადიროდო. მეორე დღით, „ნასამურზე“ ვახუშტიმ უკან დადგა ფეხი:

— კარგით რა, მე რისი მონადირე ვარ, ჩემ სიცოცხლეში თოფი ხელში არა მჭერიაო.



1975 წელი

— შენ მოკვლას არავინა გთხოვს, ჩვენ მოკვლავთ, ისე წამოდი, მეტი არაფერი გვინდაო, — არ ეშვებოდნენ ბიჭები.

— აბა, თოფი რომ არა მაქვს, უთოფოდ როგორ ნამოვიდე, გინდათ დათვებს შეაჭამოთ ჩემი თავი, ერთი უბრალო თოფი მაინც რამე მომეცითო! — ახლა უთოფობა მომიზეზა ვახუშტიმ. იმის იმედით, რომ ის თოფს მაინც ვერ იხმარდა, ერთი გამოუსადეგარი „ცენტრალა“ რალაცა გვეგდო, ეს გამოვუტანე. ვახუშტიმ გამომართვა და ისე დაიკიდა მხარზე, არც კი შეუმჩნეობია.

— ბარემ თქვენც წამოდი, აქ რა უნდა აკეთოთ? — თავისი მეგობრები უკვე ვახუშტიმ დაპატიჟა. ისინი, ვისაც მანამდე ტყეშიც კი არ შეეყო თავი — როგორც თვითონ თქვეს, იმათ თოფები არ მოუთხოვიათ და ხუმრობა-ლაღობით დავიძარით თოფიანი და უთოფო. მოკლედ გასასაცილოვდა ჩვენი დათვზე ნადირობა. ვატყობდი, ამავე აზრისანი იყვნენ ჩემი იქაური ძმაკაცებიც, მაგრამ ვახუშტის ხათრით ამ „ტყუილად სიარულსაც“ შეეგუებოდნენ. გადავწყვიტეთ ყველაზე ახლო და იოლად სავალ საორბის ტყეში მოგვეწყო საჩუქი. იქ თვის სათრელი სახარე შარა ადის, ხეობის კუდამდე, სადაც დათვის გეზებია. ვთხოვე ჩვენებს, ვახუშტი თავისი ბიჭებით ბუჭყურას ახოს ბოლოში დაეტოვებინათ, თავად კი ზემოთ გეზებში განანილებუ-

ლიყვნენ და თბილისელი მონადირეებიც იქ აეყვანათ. მე და კიდევ ერთი-ორი ბიჭი სარეკში წავედით. საგზლიანი გუდებიც იმათ წავალბინეთ და იგულისხმებოდა ბოლოში დატოვებდნენ იმასაც, სადაც მერე ყველანი ერთად მოვიყრიდით თავს.

მთავარ საწოლებს, სულ ზემოთ მე გამოვყევი. დათვი მალაღგორის წვრილი-ანებში ნოლილიყო. თბილი საწოლი ვნახე. ცოტახანს დავეჯექი და დაველოდე თოფის ხმას. თოფის ხმა არა, მაგრამ დროდრო რალაც უცნაური ხმა უხმოდა გაღმა ფუნდუკის ფერდობებს. რა ხმა იყო, ვერაფრით გავარჩიე, დამინტერესა, რა ხდებოდა, სწრაფად გადავიარე კიდევ ერთი დარჩენილი ტყიანი გორი და გავედი ბუჭყურას ახოსში. ეს ველი დაბლა სახარდან, მალლა მთის ფერდობებამდე არის ამოჭიმული და აქ უკრავენ გზებს მორეკილ ნადირს. აქ უნდა მდგარიყვნენ გზის შემკრავები. ზევით ავავე თვალი, არავინ ჩანდა. იგივე უცნაური ხმა, ოღონდ უფრო ძლიერად ქვევიდან მომესმა. ჩამოვიხედე და რას ვხედავ! ახოს ბოლოში ჩამომსხდარან ყველანი, წინ უდგათ „სულ მუდამ ფეხზე მდგარი“ ვახუშტი და მაროდრო იქუხებს სიცილი. დავეშვი დასაკენ გაბრაზებული და ველარც გაბრაზებული. პირით ჩემსკენ ვახუშტი იდგა და იმან დამინახა პირველად. დამინახა და ხელი დამიქნია — ჩამოდი, ჩამოდიო! სანამ ჩავიდოდი ერთი სამჯერ მაინც დააქუხეს სიცილი. მივხვდი, ეხლა რასაც უყვებოდა.

— კოტეტიშვილებისაგან ჩემ ნადირობასთან დაკავშირებულ „ნომრებს“. ამას იმაზეც მივხვდი, ყველამ ხარხარით შემოიბრუნა თავი ჩემსკენ.

— რა არი ხალხნო, რატომ გაუშვიტ დათვი? რატომ ჩაშალეთ ნადირობა?! — მივაძახე პასუხად.

— აი, ვახუშტიმ დაგვიძახა, ჩამოდიოთ და უარს როგორ ვეტყოდით? — ისევე ეციხებოდა რევაზ არაბულს.

— ნეტაი შენ! დათვი კი არა, მოდი ყანნი გამომართვი! — ვახუშტი მუხუნება — ნუ ხარ შენ სისხლისმსმელი, ამ ზღაპრულ ბუნებაში, ამ სილამაზეში კაცი მოკვლავ ილაპარაკებს?! შეხედე რა ფერებია, როგორ წითელ-ყვითლად არის შეფერადებული ტყეები. ის დათვი რა ამ ბუნების სილამაზე არ არის?! გავევიფდი, რომ დამანახეს, როგორ მირბოდა!..

— დაინახეთ? გადავხედე ჩვენს ბიჭებს.

— აქ არა, ფუნდუკის გორზე რომ გადაიარა, მაშინლა დავინახეთ.

— დიდრუფი გადავიდოდა.

— კი, იქიდან ვერსად ნაგვივა — დამიდასტურეს.

დაღამებამდე ბევრი დრო აღარ რჩებოდა. ვახუშტი და მისი კამპანია შინ გამოვუშვი. ჩვენ მარტო ჩემი ქვისლი — ალექო შალუტაშვილი გავიყოლეთ. დიდრუფი ვირეკეთ და ის დათვი მაინც მოვკალით.

მეორედაც ისეთივე ამბავში გვეყავდა ვახუშტი, დათვზე სანადიროდ. საღმრთო გადაიხადა მამაჩემმა, ლუდი ჩვეულებრივ დათვისელ მინდიას ადულებინა. ხთისო სესიაშვილი უკვე ფოლკლორული საღამოების უცვლელი მონაწილე, აღარ მოეშვა ვახუშტის — თუ შენ არ წამოხვალ, არც მე აღარ წავალო.



ფშაველი. ს. კანალხევში ნადირობის დროს



— გაიგეთ ხალხნო, ისევე ისე გაგიფუჭებთ ნადირობას! აბა, რად გინდათ, რომ წამიყვანოთ?

— შენ გაფუჭებულ მირჩენავ, სხვისა გაკეთებულსა — იმას უთხრა. — მიდი თოფი გამოუტანო! — მე მომმართა.

იმჟამად უკვე გვექონდა ზედმეტი, შედარებით უკეთესი თოფი და ის გამოვუტანე თავისი პატრონტაპით. წელზე შემორტყმამი ხთისო მიეხმარა, თან ვაზნებს დაუნყეს თვალიერება. თოფისა და ვაზნების ვახუშტისათვის გაგებინება ხთისოს მივანდე. იმასაც რა ლაპარაკი დაეზარებოდა.

— აბა, ეხლა ვნახოთ, ჩემო ძმაო ვახუშტი, რა ვაზნებია... ჰოო, წინა და მარჯვნივ — სადათვეები ყოფილა...

— მარცხნივ რაღა არი? — იკითხა ვახუშტი.

— მარცხნივ საფანტებია. ეგენი შენ არ დაგჭირდება, დათვს საფანტით ვერ მაჰკლავ, მარტო გააჯავრებ და მერე ჩემ მტერთ ნურა კარგი! სადათვეებია აი ეს ჟაკნები და კარტეჩები. ჯერ ჟაკანი უნდა დასცე ბეჭქში, მერე კარტეჩი მიაყოლო! ოჰოჰოჰო, აი დედა ვუტირე, ნეტა რაი რა სიზმარი ნახა იმ დათვმა, დღეს შენი ხელით სიკვდილი რო უნერია?!

— კარგი ერთი, მე რისი დამცემი ვარ?

— დასცემ, მაშა, კაცო! ნუ გეშინიან, შენ თუ ვერ დასცემ, ახლოს გეყოლება, შენი ძმა.

— ვთქვათ და ვერც შენ დაეცი, დაიჭრა და ჩემსკენ გამოიქცა. მაშინ რა ვქნა?

— ჰოო, მაშინ რას იქამ და გაიქცევი!

— ვერ დამენევა?

— შენ დათვ რას დაგენევა, — რამსიგრძე ფეხები გაქვს.

— დამენევა და მივაყრი თვალებში იმასა, ჩვენ რომ ვიცით.

ვახუშტისა და ხთისოს ხუმრობაში სხვებიც ჩაერთვნენ და ასე სიცილ-ხარხარში შევიარეთ უკვენების ხეობა. მარეკები სოფლიდანვე ავგზავნეთ, ჩდილისთავისკენ. ჩვენ კი უთხოვრიანას გეზები უნდა შეგვეკრა. იმ წელს ნიფელს ესხა და თქვეს, დათვები ჩდილის მხარეს ნიფელზე არიან, უთხოვრიანაში უდათვოდ არ იქნებაო.

უთხოვარი ტანაყრილი წიფლიანის დაბლა „სართულია“, ჩაბურული და ჩაბნელებული. ფერდობებზეც ისეთი კლდიან-ქეჩახიანია, ნამზღვევიანი, კაცი კი არა, დათვებიც ვერ გადიან ყველგან. ამიტომ არის, რომ იქ გეზზე თუ არა, სხვაგან ძნელად თუ გაივლიან. ძირითადი გეზი ოთხია. ჩვენ ხუთნი ვიყავით ვახუშტის ჩათვლით. გადავწყვიტეთ ის სულ დაბლა, ისეთ ადგილას დამეტოვებინა, სადამდეც დათვი არ დაინევა.

— შე აქ მარტოს მტოვებთ? — იკითხა ვახუშტი.

დავამშვიდე, რომ ხთისოს მის სი-ახლოვეს, ასიოდ მეტრით ზემოთ დავტოვებდი. დავტოვე კიდეც, მაგრამ ეჭვი მანვალედა, ესენი რაღაცას „პოეტურს“ იზამდნენ.

უშედეგოდ მომთავრდა ნადირობა. ჩამოვედი და ვხედავთ ვახუშტი და ხთისო არყიან ბოთლს უსხედან. უკვე შემთვრალ-შექეიფიანებულები, გალექსილ-გაცინებულნი. მოვიდნენ მარეკებიც, ორ-ორი დათვი გამოვაქციეთ და სად წავიდნენ? ეჭვობდნენ მრეკავები — დათვებმა სესიაშვილის გეზზე გაიარეს, ფეხის ხმა ეგრე წამოვიდაო, მაგრამ დამტკიცებით ვერაფერს დაუშვტყვიცბდით, რადგან ახლადჩამოსულ ფოთოლში კვალი არ გაიგებოდა.

— რა დათვები, რის დათვები, მე რა ვიცი, სად წავიდნენ. ეხლალა ჩამოვიარე, იქიჯე სრულა. დათვი მოსულიყო, დედას არ ვუტირებდი? სხვა დროს როდის გამიშვია დათვი, ეხლა გამეშვა! მთელი ხმით გაჰკიოდა სესიაშვილი. ყვირილზე ეტყობოდა, რომ ტყუოდა, მაგრამ როგორ დავუშვტყვიცბდით. შემომცინა და სავსე ჭიქა მომანოდა, — მოდი ეს ღვთისშვილთ ფერ კაც დაველოცოთ. ეს არი მთავარი. ვახუშტი შეიძლება ვეღარა ვნახოთ ამ სადათვეებში „ვახუშტი, ვახუშტი... თორთ დათვ კიდევაც იქნება!“ — მთიულური მიაყოლა.

ვახუშტი „დათვის პირისპირ“ დარჩენის ამბავს ჰყვებოდა და ჰყვებოდა ჭიქით ხელში: თავიდან დაძაბული,

თოფმომარჯვებული ველოდი დათვის გამოჩენას, ყოველ გაფაჩუნებაზე მეგონა დათვი მორბოდა და ხთისოს ვუქნევდი ხელს, ჩამოდი მომეხმარეო. რომ არაფერი გამოჩნდა, თანდათან მოვეშვი, თოფი გვერდზე გადავდე, ზურგზე გადავბრუნდი, ავხედე ტყეს, ცას — რა სილამაზე იყო... რა სიამოვნება... მოკვლა დათვისაც კი არ მინდოდა. ჩემი გრძნობების ვინმესთვის გაზიარება მინდოდა და ხთისოს დაუშვტყვიცბდი.

ჩემგან მოთხრობილი ეს ამბავი არაფერია. ვახუშტი კი ისე ჰყვებოდა, ისე აფორმებდა სუფრების თამაღობისას, ხალხს სიცილისაგან ყბები სტკიოდა.

\*\*\*

2009 წლის 12 აგვისტოს ფშავში, სოფელ კანალხევიში ამომაკითხეს მონადირეებმა — დათო ცხვედიანმა, ბიძინა კიკნაძემ, გოგი კიკნაძემ, გოდერძი გურულმა. თამაღად ხთისო სესიაშვილი დავაყენე. ვახუშტის ისედაც ყველა-ნაირად გავიხსენებდით, მაგრამ მთავარი მაინც მისი გარდაცვალებიდან ზუსტად ერთი წლის თავი იყო. წინა 2008 წელს თავის დაბადების დღეს, 4 აგვისტოს გარდაიცვალა. ხთისომ ჭიქა აიღო და ლიმლით გადმოხედა.

— ეხლა ჩემო ძმაო გიგი, ამ ხალხის თანდასწრებით უნდა ვავთქვა ის ამბავი, რაზეც მე და ვახუშტიმ მაშინ ვთქვით, ნუ ვიტყვითო, კინალართა ორმოც წელია მას შემდეგ, რაც ეს არავისთვის მითქვია. ეხლა ვახუშტი ცოცხალი აღარ არი, დღეს არა ხვალ მენაც მოვეკვდები და რისთვისა დავმალო. მაშინ დათვები რო წავგივიდა, მე და ვახუშტის ბრალი იყო. კაცმა ხელის ქნევა დამიწყო — ჩამოდიო და მე თავადაც იმისკენ მიმწვედა გული. თან ვიფიქრე იქ დათვები არ იყოს, მრეკავების ხმაც უკვე ჩვენს მხარეს ისმოდა. ჩამოვედი, თავი მოვიბრუნე და რაშიც ვიდექი, ზუსტად იმაზე გადაიარეს დათვებმა. მაგრამ არც მაშინ მინანია და არც დღეს ვანანობ, ვახუშტისთან რაც მე მაშინ დრო გავატარე, ის დრო მერჩივნა ორ დათვს კი არა, რა ვიცი, რაღას არა. ოოო, რა კაცი იყო! ეგეთი კაცი მეორე არ დაიბადება! იმას რო დავინახავდი, ის მეგონა დილის მზემ ამოანათაო, იმასთან ყოფნა არ მოგწყინდებოდა, ის არ იყო ჩვენთვის კაცი, ის სხვანაირი თიხა-მინის კაც იყო. არ იყო ჩვენსავით ცოდვიანი, დათვის მოკვლაც კი არ უნდოდა. უნდოდა მარტო სიხარული, სიყვარული და ლექსი. მანამ ვახუშტის გავიცნობდი, მგელივით თვალი სულ ტყისაკენ მეჭირა, მერე რამდენსა ვზოცავდი, დათვი გინდა, შველი გინდა, მაქებდნენ და მიხაროდა.

— „შააქიან მელასაო, შააქიან მგელასაო“ — სახლზე მე არა ვფიქრობდი, ცოლსა და შვილზე, ნადირობა და ქეიფი იყო ჩემი საქმე. რაც ვახუშტის დავძმაკაცდი, როგორც ღამე გათენდეს, ისე ამეხილა თვალი. ამეხილა და დამთაკილდა თავი. ბუნებასაც და ცხოვრებასაც სულ სხვანაირი თვალთ შევხედე. ცხოვრებას მერე მოვები. მთელი ჩემი სიცოცხლე ნადირობაში მაქვს გატარებული. ბევრი კარგიც მომაგონდება, მაგრამ ვახუშტისთან ერთად ერთი საათით ნიფლების ქვეშ ჩამოვდომა, იმისი ლაპარაკის მოსმენა, ბევრად მეტი მოდის... დიდი კი არა, საოცარი კაცი იყო, იაღსამც იქნება იმისი სული. იქაც თუ ხელის დაქნევით შამიპატიყებს, ბედნიერ კაც ვიქნები... მაჰატივით, ბევრი ვილაპარაკე, ვახუშტიზე ლაპარაკი მე არ მომწყინდება — დაამთავრა და პანტის არაყიანი ჭიქა ბოლომდე გამოცალა.

ღვინოსა ვსვამდით, მაგრამ თითო ყველას დავაცვლევიან — ამითი უფრო მიუვა, ვახუშტი მთაში ამის მეტს არაფერს სვამდა: მწვადსა და ხინკალს ეს დაანათლეს ხვთისშვილთაო.

ვახუშტი ტყვიით ნადირობისათვის არ ექნა ღმერთს, თორემ სიტყვით მონადირეებში ბადალი არა ჰყავდა, — მთელი საქართველო ჰყავდა მონადირეული. ამაზე თვითონაც „აფორმებდა“ ხოლმე თავისებურად, „კოტეტიანთებურად“, ჩემთან ნანადირევის სუფრასთან ჩვეულებრივად თამაღობისას თავისი დათვზე ნადირობით აცინებდა ხალხს.

მარტო სესიაშვილს კი არა, ვახუშტიმ მეც ბევრ რამეზე ამიხილა თვალი. ჩვენ მოსაგონარ მონადირე ძმაკაცებს კი ეხლა იმისი სახელიც მიემატა.



ნინო ქოქოსაძე

ნის

იცი, ნი, წინა ცხოვრებაში ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა. მე მეომარი ვიყავი, შენ — ტანიტის ქურუმი ქალი. (ნუ იცინი, ნი, ნუ-იცი-ნი!) გახსოვს? როგორ აწვალედი სადაფის ღილებს ჩემს მოლოდინში? მე არ მოვედი... შენი საყურის გასერილი მარგალიტის სურნელით მთვრალი, მამაშენმა, ჩემმა სარდალმა, ბრძოლაში მომკლა. არ შეიძლება ნვივებს შორის განყვეტა ჯაჭვის.

გაიგე, ნი? მერე მე ვეგდე ბრძოლის ველზე, ზურგში დაჭრილი და თქრიალით მომდიოდა შენი სახელი — გესმის? ნიიიი!!!!!!

შემოდგომის პარკში, მერხზე ისხდნენ, საუბრობდნენ ფლობერზე, სხვა... არაფერი...

ჩემი პოეტი

- კარგად ვარ მეთქი. და დამიჯერა... მე კი მქონდა მიზეზი ართქმის. ჰოდა, ზის ახლა მაგიდასთან ჩემი პოეტი და უსაშველო მონატრებას ლექსებად თარგმნის.

ლოტი

ქოთნის ყვავილი, გალიის ჩიტი, ოქროს თევზი აუზის... პენტჰაუზიდან დასცქერის ქალაქს —

მძიმე საყურე, გრძელი ფრჩხილი, მაღალი ქუსლი...

მაღალი კურსით გადაცვლილი თავისუფლება.

სიმაღლე

მწიფე კახეთი. ჩაიხატა მთვარე მტევანში. ღამისთევამი ისევე მენზე ფიქრმა გამათბო.

შარშან რომ გნახე, დამელანდე კვლავ იმ კაბაში, თეთრი მარმაში, თლილი ყელი, ლურჯი საყელი. შენი სახელი ახლა ღრუბელს წვიმად დასცივიდა, დამიფეთდება ამ ტაძართან ჩემი თეთრონი. იცი? აქ ღმერთთან სიახლოვე ცხადზე ცხადია, რადგან სიმაღლე იზომება ალავერდობით.

ძვრის

ნამცეცებით აპურებდა ჩიტებს, აივანზე ერთი ძველი სახლის, შენი ორი კაფანდარა გოგო, მისეული ფიქრიანი სახის. უფროსს მტრედი დააფრინდა მხარზე, და უმცროსზე შეაჩერა მზერა... ახლა — სწორედ ისეთია კადრი, როცა — სულის უკვდავება გჯერა.

\*\*\*

მწერ - აცივდაო, თურმე ქარიც დაჰქრის ვერაგი... აქ, კარადაში, შენს ეულად დარჩენილ კაბას — გავიხადე და მოვახურე ჩემი პერანგი.

მოლაპარი ორისთვის

მონეს ნახატია ეს ბალი, უტოვებს იმპრესიას ფოთოლთა, პასტელის ფერი აქვთ ბუტონებს კორომთან. ...თითქოს ქოლგაიანი ქალები, ვინრო წელითა და მარმაშით, თეთრ კამელიებზე მზის სხივი თამაშობს. ...თითქოს ფაიანსის ბავშვები, ჩალის ქუდები და კულული, ზეცაში ფრანების აშვებას უყურებს. ორისთვის გავშალეთ მოლბერტი, ფერს — ფერი, ხელს ხელი მიგვეყრდნო, ამ „ტილოს“ მუსიკა შენია, ჩემია — ლიბრეტო.

კიკიტი

აქ დილაობით ტყე ატარებს სოკოს ფესტივალს, მზე წვება ირგვლივ. იშლის შუადღე ქარვის კარვებს საშემოდგომოდ... მერე კი შუბლზე ვარსკვლავიან ზეცას იკეთებს ღამე კიკეთის.

მარტონელა მინია

განა რაა? ქუჩის გადაღმა მინიმარკეტი. მე კი უბრალოდ მომენატრა ვინმე „ასეთი“: - „რომ წამოხვალ, პური წამოიყოლე“.....





გიორგი კეკელიძე

სხვა ქარის ქვეყნის აზვანი

„ქორმა ნაილო წინილა“
ვაჟა-ფშაველა. XIXს.
„ქარმა ნაილო წინილა“
მესამე კლასელი ბიჭი. 1993წ.
„ქარმა ნაილო ქარი“
შენ. გუშინ.

.. ჩემი სული ნაქცეული ქარის
ნისქვილია,
ვიღამ მიხედოს ობმოდებულ
ოცნების ტომრებს-
- მოვლენ თავგები და დახრავენ..
უსათუოდ მოვლენ..
დიდება თქვენდა თავგნო!
მე გასწავლით თქვენ ყველა
კუნჭულს,
სადაც კი მიძევს მივარდნილი
რამე ოცნება,
სულყველა კუთხეს-
რომ დაიმშეთ უფრო და
უფრო
და ჩემი სულის
დარჩილი კადლებიც
დახრათ!
ჩემი სული ხომ ნაქცეული
ქარის ნისქვილია,
უქარობამ ნააქცია ჩემი
სული..
. . ქარი ჩვენში მაშინ
იცის,
როცა წაიღებს..

დამალვანა ანუ ნამდვილი საქმე ღვთისა და კაცისა

როცა თვალი გავახილე,
ის დაიმალა.
ფეხი ავიდგი და პირველსავე ბილიკს მის საძებნად
გაუწყევი -
ბაღი ვნახე მშვენიერი,
ხილი ვიხილე და ჩრდილი ვიჩრდილე,
მზე ღღვებოდა ლედვის ფოთოლზე -
მაძლარმა ვეძიე და არსად იყო.
სხვა ბილიკი გავიფინე -
ბაღი ვნახე საზარელი -
გაყინული ხეებიდან
მკვდარი ყვავების გადაფრენა,
ნემსის ბალახი -
მშიერმა ვეძიე და არსად იყო.
მაშინ გავიხადე თიხის სამოსი და ქარს ვემხედრე,
ღრუბლის მოღლილი ღობე მოვარღვიე -
მეგონა მის ეზოში ვიყავი, მთვარეს ეფარებოდა
მეგონა -
არც იქ დამხვდა.
დრო დავიფერთხე -
სხვა ეზოშიც გადავიპარე
და სხვა ეზოშიც,
სხვა ეზოშიც -
ვარსკვლავების კიბეს მივყვები,
მივყვები და ვყვირი:

- გამარჯვებულს სადა ხარ? გამარჯვებულს
გამოდი!
- გამარჯვებულს სადა ხარ? გამარჯვებულს
გამოდი!

მრუდე საგალოპალი

შესაქმე

ზომიერებაა ყოველივეს ძირი
ლაო-ძი
რასაც ჩასძახებ
ანდაზიდან

მზე ამოვიდა მზიდან.

გამოსვლა

მერვე დღეა მჭლე ბალახს ვჭამ.
ქარი - მშრალი სამართებელი - პარსავს ჭალებს
და ხეებს წითელი ფოთოლი უნებლიე
ჭრილობასავით აჩნია.

მერვე დღეა მჭლე ბალახს ვჭამ.
ვისწავლე -
ლამის ჩალით დღის გადახურვა,
რკინის ქალამანი მოჭრილ ფეხზე,
მოჭრილ ხელით საჭის ჭერა,
ბადის სროლა მღვრიე ქვიშაში.
მერვე დღეა მჭლე ბალახს ვჭამ -
ცას უნია ჩემმა რქებმა.
მომბეზრდა -
თოკზე ყელი მოვიზომე -
საბძელი დაიქცა.
დანაზე ძარღვი მოვმართე -
სისხლი შედედდა.
შაბი ვსვი
და დავთვერი
დავთვერი და
მდინარეში გადავეშვი -
სადაც ახლოს მტერი იჯდა და ჩემს გვამს
უცდიდა,
ცოცხალი დამინახა და გამომიყვანა.
იმედი თავზე
გადამეწურა
და უკვდავების ოფლით
სველი
მივდიოდი და ჩემს უბედო ჟამზე მოვთქვამდი.
დღეს ჭა ვიპოვე.
ჭა - მინის ცრემლმომდგარი თვალი
და ჩავძახე:
ქარიშხალი - სიო ამომძახა,
სევდა - სიმღერა,
სიმღერა - სევდა,
სევდა - სიო,
სიო - ქარიშხალი.
სათლი - საცერი.
თივა - ცეცხლი.
ცეცხლი - საცერი.
საცერი - თივა.
მაშინ მივხვდი -
ავდექი და მე ჩავეძახე

ბრაჰმას მედლის ორი მხარე

(ნანყვეტი პომეიდან)

თანამოსასმენი: Nina Simone - Funkier Than a
Mosquito's Tweeter

1.
მე მოსე ისტრახი ვარ. ყველაზე მახინჯი კაცი ამ
სამეფოში. ეს ხორცმეტები დედის საშვილოდან
დამყვა, სადაც ჩემს შობამდე ცამეტი ძმა მოკლეს.
ეს ხორცმეტები მათი ხორცის ნაწილებია, გახრწნას
გადარჩენილი და საშოს კედლებს გამოკიდული.
ერთი სული მაქვს და თოთხმეტი ტანი მაცვია, ერთი
სული მაქვს როდის გავიხდი. ცეცხლი დავანთე,
დანას ვათობ და მეტხორცს ვითლი, ცეცხლ-
გადაღმა დაღლილი მოხუცი წევს და ჭამი
სათლივით ჩამწყდარი ხმით ჩურჩულებს: კაენ, რად
მოკალი ძმა შენი.. მე კი მოსე ისტრახი ვარ,
ყველაზე მახინჯი კაცი მთელს სამეფოში.

2.
მე მოსე ისტრახი ვარ. ყველაზე ლამაზი კაცი ამ
სამეფოში. უკვე შორს ვარ - აქ მზის ცივი ზურგი
ჩანს და ძველი მინა, როგორც წერტილი - უნებლიე
წინადადების, ერთი სხეული და თოთხმეტი სული
მაქვს, ტანზე გველი შემომხვევია და ვაშლებს
ვისხამ. მე მოსე ისტრახი ვარ. ყველაზე ცრუ კაცი.

ბრაჰმას მედლის ორი მხარე (2)

პოპ რი-მეიქი

(ნანყვეტი პომეიდან)

თანამოსასმენი: Madonna-Frozen

სააქაო

მე მოსე ისტრახი ვარ. ყველაზე მახინჯი
კაცი ამ სამეფოში
„ბრაჰმას მედლის ორი მხარე“
გიორგი კეკელიძე

ეს მოხდა შენი სკამის გვერდით, დაღლილ საწოლზე,
თრობის და ღვინის საათების დამსხვრევის იქით,
შენ გერქვა ეჭვით გატანჯული უნდო საცოლე
და ცრუ ექიმის მონაჭორი ნაშალი მიქე.
მე შემემინდა ჩემი ჩრდილის უცხო სიმჩატის
და ჩემი წლების უსაშველოდ ყალბი სიმძიმის
და მოვიტყუე ახვეული თავი და თვალი,
სასთუმლად ენა ამოვიდე და დავიძინე.
მოთქვამდნენ სხვები, მე რომ სული მოთქმა ვერ
ვცადა

სიკვდილის დილამ ჩემი მინა როცა დაცვარა
და დედა მინაც. და მინდვრები მეთათე ცაათა,
მინდვრები, ჩემი უსათუო დედინაცვალი
შემომეგება, დამახვედრა წითელი პური
და უმანკოთა მყუდრო კუთხე უფლის მარჯვენით,
საცა არ არის არცა ჭირი და არცა ურვა
და მხოლოდ ზეცის უქონლობით დავიტანჯები.

საიქიო

მე მოსე ისტრახი ვარ. ყველაზე ლამაზი
კაცი ამ სამეფოში
„ბრაჰმას მედლის ორი მხარე“
გიორგი კეკელიძე

ბილიკმა შენი ყანის თავიც უეცრად მოჭრა
და ტყის ქარქაში ჩაეგო და თან ჩაგიყოლა
და გავდი უფალს მიბარებულ კეთროვან მორჩილს,
ავი სალმობით შეეფარე მონაზვნის ყორეს -
ტიკვილი ნიშნავს - რომ იყავი ორსული სულით,
რომ გაიზარდა და შიგნიდან ფეხით გატოკებს,
რომ ტანს შეშლილი მშობიარის კვილი უვლის
და მივიხსიან გაიშიშვლე ყელი სათოკედ





და დამიბრუნდი, ახალ სახლში დავაგეთ თივა, თივაზე ვნება მივუშვიტ და ვნება ვაძოვებ, მერე ვიგრძენით, რომ სიმძაღრე აქ ვეღარ გვტყვივა.

ვიხმეთ ტურები საკუთარი ყმუილის სუნზე და სიჩუმისგან უკვე დაღრღნილი ექო გახრეს და დანაყრდენ და შევისახლეთ დიდ ნათელში თვინიერი ნადირი, და იატაკის ნაპრალიდან კაცი და მხეცი მალულად ვუმზერო, როგორ მიგორავს მზე, ჩვენი ბედნიერი ბავშვობის ბურთი და ვხვდებით, რომ ამ სუფრაზე სული სულზე უფრო ტკბილია, ჩვენ კი საოცრად მოგვენატრა სოფლის მარილი, იქ დედაჩვენის სავსე საშოს რომ მოვაყარეთ.

**საქართველო # 2**

(ნაწყვეტი პოემიდან)

აღარ თოვს. ალბათ ცას წამოცდა ჩემი მეზობლის ბავშვის ლოცვა და მერე სხვა და სხვა ლოცვებმა პირი აუკრეს და უკარნახეს გზა, რომელმაც კარგად იცის

მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა, მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა.

აქ სულ გვიანი შემოდგომაა, მეეზოვები ხეების სისხლს აგუბებენ. და სხვა სისხლი – წყალი, რომელიც სისხლად იქცა. მიწა, რომელიც პურად იქცა და

მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა, მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა.

ის დაბრუნდა გამოქვაბულიდან მოკლული ირმით, მზითპირდაუბანელი. ის დაბრუნდა ბრმა და გავაძღვეთ

მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა, მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა.

ეს მისი სახლია, ნიშნავს – ჩემს სახლს, რომელსაც ტანში ჭიანჭველებივით ვუვლით და ვუვლით გარს და ვუვლით დედასავით, რადგან დედაჩვენი უჩვენოდ მოკვდა. ცაზე კი ვარკვლავები - ცის მინდვრის თავგების სოროები და

მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა, მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა.

ავი სიზმრის შიშით ძილი დაგვიფრთხა. ვფხიზლობთ. სხვა ხეზე ჩაცვენილი თვალეზივით ორ ბნელ ფულუროს და ჭერზე წვიმის შემხმარ წვეთებს ვაკვირდებით და ვაკვირდებით, მაგრამ გვახსოვს ისევ ერთი

მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა, მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა.

ზღვა, მინდორი, მთები და მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა, მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა ანუ იგივენი და ჩვენ. ჩვენ ანუ იგივენი.

**სხვა სიკვდილი სიყვარულისგან**

(ნაწყვეტი პოემიდან)

თანამოსასმენი: რომანოზ მელიქოვი – „საშობაო საგალობლები“

შენ წერდი, როგორ გამეველო უღრან ღამის უცხო ბილიკზე და მე მომკვდავ მთვარესავით მზისგან თეთრი სისხლი ვისესხე, გავფითრდი და თეთრფრთიანი შეშისმჭრელის ხშირი მადლი – ფითრი მოვისხი, გავფითრდი და თეთრფრთიანი შეშისმჭრელის ხშირი ფითრი – მადლი მოვისხი. გავფითრდი და ხე ვარ – შემახე ხელი და იგრძენი გამხმარ სისხლის უძრაობა – ბოლო სიბერე. შენ წერდი. თუმცა დაუძღლურდი, ისევ გრცხვენია უსხეულო სიშიშვლისაც – გინდა მზერას ჩადრი ჩააცვა, რომ არ გაგინყრეს სიჯიუტის ავი ალაპი. შენ წერდი ჩემი სევდის სიგრძეს, დაღლილ ღიმილს, სიტყვის სიმოკლეს, მას მერე, რაც ზუბოვკიდან მომავალი გნახე, შეგირთე და შენდამი ვცან სიყვარული – ჩემს გზას წერდი მოურჩენი ზამთრის მიწაზე. წერდი. დღესაც წერ. ვერ მიმხვდარხარ, რომ ფურცელი გათავდა უკვე და წერილიც წავიდე.

**სხვა იბივი ნებატივი. ქველი.**

(ნაწყვეტი პოემიდან)

*საქართველოო, ლამაზო აკალანდაძე „ საქართველოო ლამაზო " ჩვენ, ვინც არასდროს გამოვალთ გარეთ ზ.რატიანი. „ნეგატივი. 20 წლის შემდეგ“*

**ბატონი პის დღიური**

4 იანვარი. 15.30. (ბატონი პი ბრუნდება სამშობლოში)

კუზიანი ხე – გაყინული ქარი.

4 იანვარი. 18.02 (ბატონი პი დაბრუნდა. ზის ფანჯარასთან. ელოდება)

მზე აჭრილ რძეში დამბალ პურს გავს – იანვრის დღე სოფლის მუყავე სუნით ღამდება.

4 იანვარი. 23.23 (ზის ფანჯარასთან. ამოდ. იმედგაცრუება.)

სიმინდის ზვინიანი ეზო – პირშიჩალაგამოვლებული ღამე.

5 იანვარი. 00.01 (ბატონი პი ღელავს. თრთის. უძილობა)

ქუთუთო მოვითალე, დავგრინე და დღე ღამეს გადავაბი.

5 იანვარი. დანარჩენი საათები. (ბატონი პი და სხვა იგივე ნეგატივი.ძველი)

მზე ისევ ოდნავ მწვანე რძეში გამომბალ პურს გავს, დარდით გამოხრულ სიბრძნის კბილში ვიგუბებ ღვინოს და კატას მოაქვს ჩემი მკვდარი ბებუის მურგი, რომ თავი დავდო, სევდა დავდო და დავიძინო. რომ თავი დავდო, მე კი ჩუმად წავიდე სადმე ანუ ამ ძაფმა წინდის ნაცვლად ქსოვოს სიზმარი და თუნდაც სიზმარს წინდასავით მოერღვეს ძარღვი ოღონდ ეს დაღლა ერთი ღამით მაინც დავმალე. მაგრამ მოვიდა ძილში კვდომის შიში და ეჭვი, და წესისამებრ თვალეზს უცხო ძაფი მოაბა და ვტირი – რადგან ვერ ვისწავლე თვალის მოხუჭვა – ავი დღეების უტკივილო გამოტოვება.

**პაფუხ ორულელის ცრუ აპონია**

(ნაწყვეტი პოემიდან)

ვხვდები ძალი ვარ, ჩემი კუდის ჩრდილის ქიცინზე, ქარი გულს ურევს მაძლარ ამინდს და სადაცაა, მოვა პირველი და ბინძური თოვლის ნაცარი და მე ძალი ვარ და მოვლილი ბენვი მიცინის. ბლაგვი მზე ღამის ნაღვენთარებს ზანტად ფხეკს რადგან, ზამთრის სიზმრების ნარჩენები ვეღარ აგავებს, მე კი კოჭლი ვარ და მოკლე ფეხს ჰაერზე ვადგამ და ნახევარი ღმერთი მაინც მგონია თავი. ენა გამიშრა სიტყვებისგან, ყმუილში ვანებ, დამიგეს ჩალა, ლოგინი და სხვა ფიანდაზიც, ხოლო სამყარო ჩემზე მალე ბერდება ანი, ბაზრის დამპალი თუთუნით ლეჭავს ანდაზებს და აღარ უკვირს, რომ ძალი ვარ, ვკოჭლობ და ვკვდები.

\*\*\*

დიდება ალაჰს, თეთრი ჩვრებით აქოლეს უცებ ათათასი ჩაიხანა – ქალაქის სურდო, რადგან სისხლივით მზე ჩაექცა დაბრეცილ ქუჩებს და კოჭლ დერვიშებს უფლის ჩრდილში მოლხენა სურდათ.

კედლებს ხავსივით მოდებუნი ძველი სახადი – ახლო ბაზრების ოფლის სუნი და დაღლის გემო როცა დაეტყოთ – ჩვევისამებრ გამომეცხადა მკვდარი რადიო – მეტსახელად ვერდი-ფრემი. ...თუ ძველ ფოტოზე დედა ნახო – დაგმარხოს შიშმა თუ მამა ნახო – მოასწავებს უფამო ავდარს, თუ საათს ჟანგი შეეპარა, ეს ისევ ნიშნავს რომ ჩვენს ოთახში დრო ნელ-ნელა გაჭალარავდა. ...ვენევიარ.. მუხების ბებერ გავას ვაზომებ ფანქარს, ვაგინებ დალაქს და კბილებში თმების ნარჩენებს. რადგან ლოცვები ვიცრუე და ჯავშანი გაქრა, სხვა ღმერთი მალე მჭლე გაბრიელს გამოაჭენებს. ...ამ გაქუცული ძაღლის ავი ნკუმუტინის მერე წესად მაქვს თასში დავითბილო უბინო ფეხი (მას შემდეგ, რაც კი დედაჩემის უღრან ბოსტანში, ისე დამბარეს, არც უკითხავთ იმ ფრთიან გლეხებს, ძარღვები ვაშლის ფესვებივით გამიდგეს ტანში) და ხე მიწიდან უკანასკნელ წვეთს რომ ამოწოვს, მივეგებები მჭლე გაბრიელს მქუხარე ტაშით და ჩემი თმების უშნო გვირგვინს მივუშვერ მორცხვად.

... დედალ ორაგულს ისევ ხარბად მოვთალე გვერდი, თხელ კბილებს ურჩი ფხის ბუდეებს ვუქსოვ მორჩილად, მკვდარი სიზმარი ნიშნავს უცებ გახელილ დილას, (მკვდარი რადიო – მეტსახელად ვერდი-ვერდი) ვეება ღამე სხვა დღის დიდი ძილისთვის მამშევეს, რადგან ლოცვები ვიცრუე და ჯავშანი გაქრა, მე უცოდველი თევზიან ფეხს ვითბილავ თასში და გაქუცული ძაღლის გავას ვაზომებ ფანქარს.





# გურამ მეგრელიშვილი ბოიბი

(ფანტასტიკურისავით მოთხრობა)

## დასასრული

მენათევი კაცის ხმით ჰკითხა თენგომ.  
 — არ ვიცი. არ მიფიქრია მაგაზე. საერთოდ, ცოტას ვფიქრობ ხოლმე... — უბედურებას შეგუებული კაცის ხმით უპასუხა იაშამ.  
 — არა, თქვენ ნამდვილად მორწმუნე ხართ — თქვა თენგომ და თვალები გაუწითლდა.  
 იაშამ არ ტყუოდა. არასოდეს უფიქრია ამ თემაზე. ახლა ეს ალბათ უმნიშვნელო იყო. დაე, იფიქროს, რომ მორწმუნეა, მთავრად ფული აიღოს. ეს ასი დოლარი ალბათ რამეში გამოადგება ამ კაცს. მისთვის კი კაპიციც არ არის, მეტიც, არაფერია. ფული იმდენი აქვს, რამდენიც მოესურვება. შეჰყოფს ბანკომატში ბარათს და აიღებს — არასოდეს თავდება.  
 მატარებელი სადგურში შევიდა. ნახევრად სიბნელეში ბარგიანი ხალხის სილუეტები გამოჩნდა. წელანდელი ქალი გაახსენდა იაშამს, ვაშლები რომ დაუცვივდა. კვლავ გული დასწყდა.  
 — მეც მწამს. ძალიან მწამს ღმერთის — როგორც კი დაიძრა მატარებელი, იმ წამსვე დაინკო თენგომ — მთელი დილა ვლოცულობდი, ღმერთს წამლის ფული გამოეგზავნა და... — ველარ დაასრულა, ყელში რაღაც გაეჩხირა, სიტყვებს გზა დაეხშოთ.  
 — დაივინყე. — გაუღიმა იაშამ და გამ-

ცილებელმაც შემოაღო კარი. თენგო დაინახა თუ არა სახე შეეცვალა და ბილეთები მოითხოვა, თან ყუთებს ფეხი მიკრა, დონჯი შემოირტყა და მაგიდაზე დადებულ ფულს ჩააშტერდა.  
 იაშამ ოთხი ბილეთი ამოიღო და გაუწოდა.  
 — შენი? — თენგოს მიუბრუნდა გამცილებელი.  
 — მანდ ოთხი ბილეთი არ არის?  
 — ეს თქვენი, მაგრამ ამისი?  
 იაშამ ერთ-ერთი ბილეთი თენგოს გაუწოდა და ამ უკანასკნელმაც ცხვირწინ აუფრიალდა გამცილებელს.  
 — ერთად ვართ.  
 გამცილებელმა ჯერ თენგოს გადახედა, მერე ფულს, მერე იაშამს და გაბრუნდა.  
 იაშამ შინაურულად გაუღიმა თენგოს და თავი მოიფხანა.  
 — ჩემი შვილი, ბიჭი, დაბადებიდან ბრმა-ყრუ-მუნჯია. თავიდან ვფიქრობდი, ნეტა მოკვდეს-მეთქი, განა იმიტომ, რომ მეზიზღებოდა, მეცოდებოდა, ისიც და ჩემი თავიც, ეხლა შევჩვიე. ეხლა იმედი მაქვს, რომ მეორედ მოსვლა მალე იქნება და...  
 იაშამ შეაშფოთა მოსმენილმა. ასეთი სისასტიკე არასოდეს გაეგო. აი, რა იცის გაჭირვებამ! კარგად შეათვალე თანამოსაუბრე და მოეჩვენა, რომ კაცი რაღაცნაირი გაბრაზებით უყურებდა.  
 — სანამ ვიცოცხლებ, სულ შენთვის ვილოცებ, ძმაო. ასეთი სიკეთე არავისგან მახსოვს. — თქვა თენგომ და თვალბუნი სპორტულის სახელო მოისვა.  
 იაშამ გული აუჩუყდა. განა ეს გროშები რა სახსენებელია? და თანაც საფულედან მხოლოდ მეშვიდედი მისცა.

შერცხვა საკუთარი სიძუნწის და რამდენიმე ასიანი კიდეც დააწყო მაგიდაზე.  
 — მისმინე თენგო. ჩემთვის ეს ფული არაფერია, შენ კიდეც გამოგადგება. ერთადერთი შვილი მყავდა... მოკვლედ, იმის სახელზე შენს ბიჭს რამე უყიდე, რა...  
 თენგომ ხელი ჩაიქნია და მიწვა.  
 საუბრის გაგრძელება აღარ გამოვიდოდა. რაღაც ისეთი მოხდა, რამაც ორივეს დაუკარგა ლაპარაკის ხალისი.  
 იაშამ ერთხანს უყურა თანამგზავრს. თვალდახუჭული კაცს სახეზე ერთბაშად ტანჯვა და ბედნიერება ენერა. ალბათ ამისთვის დღეს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი დღეა. რა ცოტა ჰყოფნის ადამიანს ბედნიერებისათვის. საფულე ისევე გახსნა, ორი ცალი ასიანიც დაადო მაგიდაზე დადებულ კუპონურებს და თავისთვის ერთი დაიტოვა. ახლა უკვე დაუმშვიდდა სინდისი. მეშვიდედი თავისთვის დაიტოვა, დანარჩენი კი გაჭირვებულს მისცა.  
 ხელჩანთიდან ბავშვიანი ქალის ფოტო აიღო და მაგიდაზე დადო, ჩანთა კი თავქვე ამოიღო, მიწვა. მალევე ჩასთვლიდა.  
 თენგოს ბრმა შვილი დაესიზმრა. სიზმრის შინაარსი ვერ დაიხსომა, მაგრამ რაღაცნაირად ნასიამოვნებს გაეღვიძა. მატარებელმა ისევე დაამუხრუჭა. ხატი ისევე ძირს დავარდა. აიღო, სახელოთი განმინდა და ამჯერად მაგიდაზე დადო. ახალაღა შეამჩნია, რომ თენგო კუპონში აღარ იყო. ყუთები და ფულიც არ იყო ადგილზე. ახალგაყოფიზღებულს მოეჩვენა, რომ ყველაფერი რაც მოხდა, სიზმარი იყო. საათს დახედა — ორი საათი გასულიყო.  
 “ალბათ მოერიდა და უჩუმრად იმიტომ წავიდა ან იქნებ მართლა დაესიზმრა?”

საფულე მოიძია და ვერ იპოვნა. თვალთი იქაურობა შეათვალე — არსად ჩანდა. მერე დაინახა, წინ, სადაც წელან თენგო იჯდა, იქ ეგდო, ბილეთის გვერდით. ნამოინია და აიღო. სანამ გახსნიდა, დაამთქნარა და ისეთი ხმა გამოსცა, ცოტა შერცხვა. ზანტად გახსნა საფულე და ცარიელი იყო.  
 ჯერ ვერ დაიჯერა, მერე კი როცა მიხვდა რამაც იყო საქმე, გული დასწყდა. ისე გამოდიოდა, რომ თავის წინდაუხედაობით გაჭირვებულ კაცს ქურდობისკენ უბიძგა. არ სჯობდა მთელი ფული თავიდანვე სრულიად მიეცა?  
 თენგოს სახე გაახსენდა, როცა ამ უკანასკნელს ბედნიერი და ნატანჯი სახით მიეძინა წელან. რვა შვილით და სიმსივნეანი ცოლით სახლში. ალბათ როგორი დარცხვინილი და თან იმედით მიბრბოდა შინისკენ...  
 თავისი ერთადერთი შვილიც გაახსენდა. ბავშვიანი ქალის ფოტო მაგიდიდან აიღო, ხელჩანთაში, რომელსაც ეწერა “...”, ჩადო და იმ ბილეთს დახედა, წელან გამცილებლის დასანახად რომ შეაჩერა თენგოს.  
 კარზე კაკუნის გაისმა. გამცილებელი იყო. ქალაქში შევიდა და ჩასვლა არ დაგვიწყდეთო, შეახსენა. მგზავრმა ხელჩანთა აიღო და წამოიღო. ისევე სირცხვილნარევი სინანული ანუხებდა. “ალბათ მართლაც სჯობდა რაც ფული ჰქონდა თავიდანვე სულ მიეცა გაჭირვებული კაცისთვის”.  
 ფანჯარა ოდნავ შეაღო, სუფთა ჰაერი შემოუშვა კარტოფილის სუნით აქოთებულ კუპონში და დენის მავთულებზე შემომსხდარ მტრედებს გააყოლა თვალი.

## რატი რატინი

# მოშენს ხალხი

## დასასრული

იცოდი, რომ მხოლოდ ერთი დრო — ანმყო არსებობს და როდესაც წყლის მიღების ძებნას დაიწყებდი სხვა უდაბნოში, ჩვენ — გზააბნეულ კრავებს შენი შეგვეშურებოდა.  
 მშურდა მაშინაც, როცა გავიგე, როგორ გცემდნენ ჰერონისგან გაბრუნებულს ნიხლით პოლიციელები, როდესაც წვრილმანებზე წუნუნებდი, თითქოს ეს რამეს ნიშნავდა.  
 — სწორად მახსოვდა — მეუბნება ჩემი თანამგზავრი და საფლავებს შორის, ღორღიან დაღმართზე ვეშვებით. ჩვენს თვალწინ, ბინდებულში ნათლად იკვეთება ფანტასტიკური სანახაობა: ერთი ციდა ქონდრისქალის ფიგურა ბორცვის თავზე, კინკრისოზე პატარა რქასავით ამოზრდილი ხშირი ხვეული თმის კიკინით და მოკლე კაბის ქვეშ გატიკინილი ღიპით. გზის პირას მისი უფროსი ძმა — შვიდიოდე წლის ბიჭი ზის და სარეველებს წინწის. ბავშვებს ქონხაბებს შორის, ჩამონგრეულ ფარდულთან თავიანთ სამყაროში გაჰყავთ დრო. ვესალმებით. ქონდრისქალმა დაიმორცხვა და ძმასთან ახლოს გადაინაცვლა.  
 ტაფობიდან ამოვყვინთეთ და სამანქანო გზაზე გამოვედით. ეულ გამვლელს გამოველაპარაკეთ, დაკოჟრილ ხელში ბრეზენტის პარკი რომ ჩაებღუჯა და ჩქარი ნაბიჯით, ცუხცუხით მიუყვებოდა ტროტუარს. შეჩერდა და გზის გადაღმა, ალაგ-ალაგ ჩამონგრეულ აგურის გალავანზე მიგვიითთა. მერე ალაყაფამდე მოგვყვა და გამყოლის მოძებნა გვიჩრია ჩვენი მიცვალებულის საფლავის მოსაძებნად.  
 რომლის გაჩნდა კეთროვანის სხეულზე ეს მწვანე ლაქა, გაველურებული ფლორის უკაცრიელი, დემოკრატიული რესპუბლიკა?  
 ამ ორგანიზმში, სადაც:  
 ლამაზმანები უკანასკნელ მოდაზე გამოწყობილან ჭრელ ბაზრებზე ნაყიდ ახალ-უხლებში და კეკლუცად მოაწიალებენ რედიკულებს სოფლებიდან ნიაღვრად

ჩამოსულ გაოფლილ, გავეშვებულ მამრებს, ჩინური ხარახურის დახლებსა და მოვაჭრე ქალების გამყინავ ხმებს შორის. მძაფრი, იაფი სუნამოს არომატით აზავებენ ფუნის, ცხელი პურისა და სხეულების ოხშივარს;  
 თვალუნევედნელ ტაფობზე აჩონჩხილ კორპუსებს შორის გადაშლილ კაპადაოკიის ბორცვებზე არხეინად ბალახობენ ძროხები და ღორები, მწყემსებად კი ფერდებჩაცვენილი მანანნალა ძაღლები ჰყავთ მიჩენილი;  
 პერმანენტული ერექციით დაძრწიან სათამაშო ავტომატებთან ქუჩური ჩხუბის მოყვარულები, ღია ცის ქვეშ ივსებენ და იცარიელებენ კუჭს;  
 ცხოვრება არასოდეს ბეზრდებათ, მაშინაც კი, როცა გაზოთი და იატაკის საღებავით იკლავენ თავს და ჭირიანების სასაფლაოზე მიემგზავრებიან;  
 მომცრო, ქარისგან გულშეღონებულ, შიშველ ნაძვებსა და ეკალ-ბარდებს შორის, სადაც მხოლოდ ადამიანების საცხოვრებელთან ახლოს კანტი-კუნტად უადგილოდ აფეთქებულა ალუბლისა და ატმის ხეები.  
 შინამ ხალხმა ორმოცი წელი და ოცდაექვსი საუკუნე იხეტილა შენი წინამძღოლობით და პირდაპირ აქ მოვიდა — ძვლებზე ტყავაგადაკრული, წელში გამართული და თვალბამოლამებული. ისინი მწვანე სასუფეველში დააბინავე — კეთროვანის ტანზე სასწაულით გადარჩენილი ხავერდოვანი კანის ნაგლეჯზე. თვითონ კი — წყლით მომარაგების კომპანიის თანამშრომელი — ერთგული მწყემსივით მათ სიახლოვეს ტრიალებ და მინამი ჩამარხულ მიღებს ეძებ.  
 ჩემი ორეულის ჩრდილი საფლავებს შორის დაფარვატებს და შიშონის, რეუბენისა და ძმათა მისთა შთამომავლების გვარების ამოკითხვას ცდილობს ბინდისა და დროის ბურუსში. ერთ-ერთი მათგანი ზედ შესასვლელთან, ძველებურ სკამ-სავარძელში მოკალათებულა, იდაყვი სახელურზე უდევს და ჯოკონდასავით იღიმება.  
 დავითის ვარსკვლავებისა და უცხო ნარწერების ლაბირინთში სიარულით დაღლილი ჩამოვჯექი, მინით მოთხვრილი ხე-

ლები სახეზე ავიფარე და მოყოლა დავინწყე:  
 აქაურობის მრავლისმნახველ ბინადრებზე, დაუვინყარ დედებსა და სამხედრო ფორმაში გამოწყობილ შვილებზე, უცნობ მწერლებზე. აქ შინაური პირუტყვი არ შემოდის, თუმცა გალავანი ჩამოგრეულია და ჭიშკარი ღია. ჰაერი ჩემი ბავშვობის ხის სახლის სუნითაა გაჟღენთილი.  
 გიამბობდი საკუთარ კოშმარებსა და საცვე შარდის ბუშტზე, ჩემს ორეულზე, რომელმაც ახლახან სამარის ქვაზე ძველი მონეტა იპოვნა და ჯიბეში ჩადება დააპირა, მაგრამ ცრურწმენას აყოლილმა გადაიფიქრა.  
 გიამბობდი, რომ არ დამეჩვენებოდა, შენ კი მოშესავით იდექი სინას მთაზე, ჩვენსკენ ზურგით და ეშმაკივით ხარხარებდი — იცოდი, რომ მხოლოდ ერთი დრო — ანმყო არსებობს და ფეხებზე გეკიდა წარსულიცა და მომავალიც.  
 ღამდება. ჩვენ ორნი — პეტერ შლე-მილი და მისი დაკარგული ჩრდილი უბრად მოვაბიჯებთ უკანა გზაზე. ნახახუსევი მესხიერებიდან ნელ-ნელა ფრინდება ორივე სასაფლაო და მის ადგილს საცვე შარდის ბუშტი იკავებს — ერთადერთი ანმყო, რომელსაც გზის გადაღმა გართხმულ, ვილაცის ბოსტანთან ვცლით. მერე ქალაქში ვბრუნდებით. ტაქსი უხმაუროდ მისრილებს ვინრო, ბნელ ქუჩაზე, სადაც პრესტორიული გამოქვაბულებივით მალაზიები დაბალი ძაბვის ნათურების ყვითელი მუქითაა განათებული.  
 რომორც წესი, ხვალაც ნაშუადღევს ავდგები, რამდენიმე საათს საწერ მაგიდასთან, ზამთრის მარაგის დაკონსერვებას დავუთმობ, მერე კი გრძელი, მოსაწყენი საღამო მელის აკადემიურ თეატრში, სადაც უხუცესი რეჟისორის არქაული მეთოდების ძაფებზე გამობმული, დაღლილი მსახიობები დაფარვატებენ სცენაზე;  
 ან სხვა თავყრილობა, სადაც ხავსს ჩავეჭიდები და ცალი ყურით მოვუსმენ, როგორ სკდება ნაირ-ნაირ პროექტებად წარსული და მომავალი ცხოვრების ეფემერული ნაგლეჯები, სადაც პატარა ქვეყნის რჩეული საზოგადოება დიდი სამყაროს ცივილიზაციის კედელში შექსპირისეულ ხვერელზე ბურღავს. ტალახის გუბესავით გარეუბნებად ამღვრეულ ქალაქში კი იმ საღამოს მხოლოდ ერთი მამრი გადარჩება ქუჩურ ჩხუბში, ჭრელ

ბაზრებზე გამოწყობილი ლამაზმანები კი გამარჯვებულს მიეტმასნებან.  
 შუალამისას ქურდივით მივიპარები “ნოეს კიდობნისკენ”, სადაც ჩემი ორეული — ადამიანი უთავბოლო სიზმრებიდან, — გრძელ დღეებსა და ღამეებს ატარებს ბართან. ცოტა ხანი უბრად ვისხლებით, მხოლოდ დროდადრო მოვაშორებ თვალს ჭიქას და “კიდობნის” თავზე ხელოვნური პენისივით გამოკიდებულ ნოეს სულს ავხედავ. მერე კი საკუთარი ორბიტის გარშემო დავინწყებ ტრიალს, დაბალ ხმაზე, ძველი მუსიკალური ზარდახმასავით ჩავირთვები და იმავე ამბავს მოვყვები — შენზე, ვინც ყოველდღე დილის 9-დან საღამოს 6-მდე ჭირიანების ტაფობისა და ებრაელების ძველი სასაფლაოს მახლობლად წყლის მიღებს ეძებ, სამსახურის შემდეგ ზღვის გოჭივით ტრიალებ გალიაში და თვალწინ კალეიდოსკოპური სისწრაფით ჩავივლის ტელევიზორი, ფეხბურთის მატჩები, მეგობრები, ოჯახის წევრები და უცნობი ქალების თბილი სარეცელი. ბოლოს, უთავბოლო ტრიალით დაღლილი ისე იძირები პინგვინის თხელყდიან გამოცემებსა და ძველი საბჭოთა ნიგნების გაყვითლებულ ფურცლებში, როგორც უძველესი პაპირუსების სიბრძნეში. არც ერთ სამყაროს არ ეკუთვნის, დედის მუცლის შემდეგ მყუდრო ადგილი ვერ გიპოვნია, სიცოცხლის სუნი აგდის და ფუი, ბევრი დამიღვევია. მუდმივად ჩართული ტელევიზორის ეკრანიდან საინფორმაციო გამოშვების წამყვანი მწყურალად მიყურებს, თავს იქნევს და ჩვეულებრივ, მონოტონური ხმით მთელს ქვეყანას ამცნობს, რომ ხანდახან ვურევ, ისე კი არა მიშავს, მხოლოდ ამდენი არ უნდა დაველო.  
 აღრიტიკის სანაპიროდან განსვენებულის მადლიერი დედა რეკავს.  
 მართალი იყავი, აღარაფერი მახსოვს, აღარ მშურს და ეშმაკივით ვხარხარებ. ცხოვრება ავიწყვით. ის, ვის ადგილზეც უნდა დავბადებულყავი, უცნაური დამთხვევის წყალობით კი ორივენი ერთდროულად მოვევლინეთ ქვეყანას, მხარში მიდგება და ტუალეტისკენ მიმართევს. შენ კი პანივით დახტიხარ სინას მთაზე, ენას გვიყოფ და ხმის ჩახლენამდე მღერისხარ უწმინდურ, მხიარულ სიმღერებს ყელში ამოსულ მარადიულ სიცოცხლესა და ათ მცნებაზე.








ღრამაშური გურამ ბათიაშვილი:

# „თითოეული სიტყვის, ყოველი ფრაზის უკან კალიან დიდი შრომა“

გურამ ბათიაშვილი, ნუცუბიძის ქუჩაზე, მისი სახლის ეზოში გაშენებულ ტალავერსა და ხეხილს მზრუნველი თვალი რომ შეავლო და მიიხრა, აქ ყველაფერს მე ვუვლიო, გამიკვირდა, ვიფიქრე, მრავალი პიესის, სამი რომანის, ესსეების ავტორი ბაღში მუშაობას როდისღა ასწრებს-მეთქი. გარდა ამისა, ის მერაბ კოკოჩაშვილთან ერთად შექმნილი ორი დოკუმენტური ფილმის ავტორიცაა. საქმიანობას ასევე, მთარგმნელობით სფეროში, არაერთი ცნობილი თურქი მწერლის შემოქმედება, რუსი თუ სხვა უცხოელი დრამატურგების პიესები თარგმნა, მუშაობს ჟურნალისტიკაშიც: ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ რედაქტორი გახლავთ, (იოსებ იმედაშვილის მიერ დაარსებულ ამ ჟურნალს ახლახან 100 წელი შეუსრულდა და თბილისის მერიის მხარდაჭერით რუსთაველის თეატრში დიდი იუბილე გადაიხადეს). ამავე დროს, 1993 წლიდან გამოსცემს ებრაული თემატიკის ქართულენოვან გაზეთ „მენორას“. ლიტერატურული მოღვაწეობის გარდა, სხვადასხვა საერთაშორისო ებრაული ორგანიზაციის წევრიცაა და ხშირად მოგზაურობს — ასე რომ, მისი ხელით მოვლილი კობცა კარმიდამოს დანახვით გამონეული გაოცება უსაფუძვლო არ ყოფილა.

მწერალსა და დრამატურგს ინტერვიუმდე რამდენიმე დღით ადრე შევხვდი. თავისი ბოლო რომანი „ჟამი დუმილისა ჟამი უზნობისა“, პიესების კრებული და ესსეები გადმოძეა. აქამდე, ბატონ გურამს იმ სპექტაკლებიდან „ვიცნობდი“, მისი პიესების მიხედვით სხვადასხვა თეატრების სცენებზე რომ დაიდგა. წიგნები ინტერესით წავიკითხე და შთაბეჭდილებით სავსე შინ ვენვიე. საუბარი ბოლო რომანით დავიწყეთ...



— ბატონო გურამ, „ჟამი დუმილისა ჟამი უზნობისა“ წაკითხვის შემდეგ, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მასში მთელ თქვენს ლიტერატურულ გამოცდილებას მოუყარეთ თავი, და არამარტო ლიტერატურულს, ადამიანურს... იქ წარმოდგენილია თემები, პრობლემეტიკა, რაც წლების განმავლობაში თქვენი ფიქრის საგანი იყო. მართალია, რომანის დანერგის თარიღად 2002-2005 წლებია მითითებული, მაგრამ მგონია, მასზე მთელი ცხოვრება მუშაობდა. საინტერესო სიუჟეტის გარდა, რომანის მთელი ხიბლი, სისასვე მისი პერსონაჟების მრავალფეროვნებაა, თითოეულის შინაგანი სამყარო ისე ოსტატურადაა გაშლილი თუ წარმოჩენილი, რომ მკითხველს ტექსტთან მიაჯაჭვებს... მიაბეჭდეთ, როგორ ინერგებოდა ეს წიგნი?

გავრცელებაში ებრაელთა წვლილი, მართლაც უზარმაზარია. „ჟამი დუმილისა ჟამი უზნობისა“-ს თაობაზე ლაპარაკობდით. გარკვეულწილად იგი აგრძელებს წინა რომანებში — „თუ დაგივიწყო, იერუშალაიმ“ და „მეთექვსმეტი“ — დანწყებულ ფიქრს საქართველოში ებრაელთა ადგილზე, მისიაზე. ვცდილობდი და ვცდილობ მკითხველს ვუამბო, როგორ ცხოვრობდა ეს ხალხი, შემეთხზა მათი ისტორიული მისიით, ცხოვრების წესით განპირობებული მხატვრული რეალობა. მოგეხსენებათ, რომანის მთავარი გმირი — ზანქან ზორაბაბელი ისტორიული პირია. ჩემთვის, ის არის ძალიან კარგი ებრაელი და ამავე დროს, ძალიან კარგი ქართველი. მისი ტკივილი, განცდები, მისი მოქმედება მხოლოდ ქვეყნის ინტერესებს უკავშირდება. ქართველ დიდებულთა მიერ საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებლად მეფის წინააღმდეგ წამოწყებულ ბრძოლას — სასახლის კარის ინტრიგები კი, უცხო არ არის არცერთი ქვეყნისთვის — ზანქანი პირადი კეთილდღეობის დაკარგვის შიშით როდი უპისპირდება (შესაძლოა, კეთილდღეობა, სიცოცხლეც კი, სწორედ ამ დაპირისპირებამ დააკარგვის); მან იცის, რომ მეფე გარანტია ქვეყნის ჯანსაღი ცხოვრებისა, იცის, რომ მეფის ძლიერება გახლავთ ერთ-ერთი განმაპირობებელი ქვეყნის ძლიერებისა და მისი ყოფა ქვეყნის ძალაზეა დამოკიდებული. ამ ნაწარმოებით, მინდოდა მეჩვენებინა, როგორ ცხოვრობდა ებრაელობა საქართველოში, რა მისია ეკისრებოდა მას, ემსახურებოდა სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

— ფიქრობ, ეს თემა ქართული ლიტერატურისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია...

— ებრაელთა თემას სხვა ელფერი შეაქვს ქართულ მწერლობაში. ერთმა უბუცილისტმა მოსწრებულმა შენიშნა, ებრაელობა ქართული ცისარტყელის ერთი ფერი იყო. არა მხოლოდ ილიასა და აკაკის,

ავთ ნაწარმოებს, სადაც ებრაელი უარყოფით პერსონაჟადაა გამოყვანილი... რა არის ამის მიზეზი? რატომაა, რომ საქართველოში, ბევრი სხვა ქვეყნისგან განსხვავებით, არასოდეს ყოფილა ანტი-სემიტობა? — აგერ მიდევს სოლოჟენიცინის ორტომეული — „ორასი წელი ერთად“. საკმაოდ სერიოზული გამოკვლევაა, ის წერს ებრაელთა ღირსებებზე, დამსახურებაზე რუსეთის წინაშე, საუბრობს იმაზეც, ამ ორასი წლის განმავლობაში თუ რა დღე დაანია ებრაელობამ რუსეთს. რასაკვირველია, სოლოჟენიცინისებური — გარკვეული ტენდენციის მატარებელი წიგნია, ზოგ შემთხვევაში, ფაქტების წინაშე არ ცოდავს, მაგრამ არ სწადია, ღრმად ჩასწვდეს მოვლენას, იკვიროს მიზეზი. მაშინ ხომ უნდა გამოცხადდეს: იმის მიზეზი, რაც ებრაელებმა რუსეთს დაანდეს, ებრაელების მიმართ მეფის რუსეთის დამოკიდებულება გახლდათ. ჩვენ ხომ მხოლოდ სოლოჟენიცინის არ ვკითხულობთ, სხვა გამოკვლევებიც არსებობს: ცარიზმს ებრაელებმა კი არ მიაგეს ის, რასაც მათგან იმსახურებდა, არამედ იმ პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლის შექმნა არსებულმა რეალობამ განაპირობა. თუმცა, ეს სხვა თემაა და ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს.

საქართველოს ისტორიაში არ მოიძებნება ფაქტი, რომ ებრაელს ქვეყნის ინტერესებისთვის ეღალატოს. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ჩვენი — ქართველი ებრაელების ორმაგი ცნობიერებაა, ებრაული და ქართული ცნობიერება. დიდ როლს თამაშობს რწმენა. ქართველი ებრაელობა ძალიან უფრო ხილვადი ტრადიციებზე, როგორც რელიგიურს, ისე ყოფითს. გრძნობს პასუხისმგებლობას უზენაესის წინაშე. უზენაესი კი მოუწოდებს, პატივი მიაგოს იმ ქვეყანას, ხელისუფლებას, რომელშიც ცხოვრობს და ავალდებულებს, იყოს პატიოსანი მოქალაქე. არასოდეს დამაზიანებდა ერთი ასეთი ეპიზოდი: 1995 წლის ზაფხულში, ისრაელის დიდებულ პრემიერ-მინისტრს, ნობელიანტ იცხაკ რაბინს ჩემი პირველი რომანი „თუ დაგივიწყო, იერუშალაიმ“ რომ ვაჩუქე, ინტერესით გადახედა, გადაფურცლა, ქართულ შრიფტს დააცქერდა, მომიბრუნდა და მიიხრა: „ძალიან სასიამოვნოა საქართველოში რომ წერთ რომანს ასეთი სათაურით, მაგრამ მინდა გახსოვდეთ: თქვენ უწინარესად, საქართველოს მოქალაქე, მისი ინტერესებისთვის მებრძოლი პიროვნება და მწერალი უნდა იყოთ“. ეს არის ებრაული შემეცნება, შემეცნება იმ ხალხისა, რომელიც დავით მეფის პირით 37-ე ფსალმუნში ამბობს: „თუ დაგივიწყო, იერუშალაიმ, დავიწყებულ იქნას მარჯვენა ჩემი“, ეს სიტყვები ფიცია ყოველი ებრაელისთვის. ებრაელი მამაკაცი, საკუთარ ქორწილშიც კი, ე.ი. ცხოვრების ყველაზე ბედნიერ ნუთუმში — არ ივიწყებს ამ ფიცს, ქორწილი ამ სიტყვებით იწყება და ისრაელის ჰიმნით მთავრდება. თითოეული ებრაელი ნატრობს, სიცოცხლის საბოლოო ნავსაყუდელი ისტორიული სამშობლოში ჰპოვოს...

— ეს ტენდენცია თქვენს რომანშიც არის ასახული.

— დიახ, შუასაუკუნეების საქართველოშიც ცდილობდნენ მარადიული განსახვევებელი იერუსალიმში ეპოვათ. იქ, ჰარა ზეთიმის — ზეთუნის მთაზე მრავალი ქართველი ებრაელია დაკრძალული.

— რამდენადაც ვიცი, თქვენი ბოლო რომანი რუსულ ენაზე ითარგმნა და მოსკოვში გამოცა, პრეზენტაცია მოსკოვშიც გაიმართა და „ლიტერატურა გაზეთში“ საკმაოდ კარგი რეცენზიაც დაიბეჭდა... სამწუხაროდ, ქართულ პერიოდიკაში ლიტერატურულ სიახლეებზე კრიტიკული წერილები, რეცენზიები იშვიათად იწერება. ვფიქრობ, ლიტერატურის პოპულარიზაციისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ლიტერატურებზე წერონ, ისაუბრონ სიახლეებზე, საზოგადოებას ახალი წიგნები გააცნონ...

— რასაკვირველია, პროფესიონალების აზრი ჰაერით აუცილებელია. კრიტიკოსის სიტყვაზე ბევრია დამოკიდებული. ერთ მაგალითს მოვიყვან: ცოტა ხნის წინ იერუსალიმიდან დავბრუნდი. იქ დათო დოიაშვილის დასს ვახლდი. მუსიკის და დრამის თეატრი იერუსალიმის თეატრალურ ფესტივალზე იყო მინიფილი „მაკბეთი“ თამაშეს. პირველ სპექტაკლზე, მართალია, მაყურებელი მოვიდა, მაგრამ თავისუფალი ადგილები დარბაზში მაინც დარჩა. მეორე დღით, ერთ-ერთ გაზეთში, ცნობილი კრიტიკოსის რეცენზია გამოქვეყნდა, ის წერდა: „არასოდეს მირჩევია მაყურებლისთვის ესა თუ ის სპექტაკლი უსათუოდ ენახა. დღეს, ამას „მაკბეთის“ შესახებ ვამბობ“. იმ საღამოს დარბაზი გადაიჭედა! სპექტაკლმა არაჩვეულებრივად ჩაიარა და მაყურებლის დიდი მონონებაც დაიმსახურა. ასე რომ, კრიტიკოსის შეფასებას დიდი მნიშვნელობა აქვს. თუმცა, ესეცაა — მას უნდა ენდობოდნენ.

რაც შეეხება ჩემს ბოლო რომანს, მოსკოვში, როგორც იტყვიან, კარგი პრესა აქვს, წინა რომანსაც „მეთექვსმეტი“ კარგი, ასევე პროფესიული პრესა ჰქონდა ისრაელში, როცა იგი ებრაულ ენაზე ითარგმნა და თელ-ავივში გამოიცა. ხოლო საქართველოში, „ჟამი დუმილისა ჟამი უზნობის“-ას თაობაზე „ჩვენი მწერლობის“ სალონში, როსტომ ჩხეიძესთან, საკმაოდ კარგი განხილვა მოეწყო. ქალბატონი ნანა კუცია ძალიან საინტერესო მოხსენებით გამოვიდა. უნდა ვითხრა, რომ ეს სალონი მნიშვნელოვან ლიტერატურულ ცენტრად გადაიქცა. „ლიტერატურულ პალიტრაში“ ძალიან საინტერესო წერილი გამოაქვეყნა ინგა მილორავამ, კი, შეიძლება ლიტერატურულ კრიტიკასაც უსაყვედურო, მაგრამ ნუ დაგვაიწყებდა: ჩვენ სრულიად ახალ საზოგადოებრივ ფორმაციაში ვცხოვრობთ, საზოგადოებრივი ცნობიერება კი დიდ ზეგავლენას ახდენს კრიტიკის კრიტიკიუმების ჩამოყალიბებაზე. დღეს, ამ ახალ რეალობაში უკვე ჩნდება საყურადღებო ტენდენციები და ამის მაგალითად ისევ ზემოთ ნახსენებ სალონს, ჟურნალებს მოვიშველიებდი.

— ბატონო გურამ, თქვენი შემოქმედება სხვადასხვა ლიტერატურულ ჟანრს მოიცავს. ლიტერატორთა შეფასებით, დოკუმენტურ დრამაში თქვენ ერთ-ერთი საუკეთესო თანამედროვე ავტორი ხართ. პირადად მე, როგორც მკითხველს, მომწონს, თუ როგორ გარდაქმნი იტორიულ ფაქტს მხატვრულ სახეებად. მომწონს ისიც, რომ თუნდაც მეთორმეტე საუკუნის ამბებზე წერისას, თქვენი ნაწარმოები აქტუალური



ჩვენი მწერლობის იმ კლასიკოსთა შემოქმედებას თუ გადახედავთ, ვინც ებრაულ ყოფას მეტ-ნაკლებად შეხებია, ვერ ნახ-









### სიბერის მკაცრი სივართლე

მზიშდები. ამას ველოდი და არც ველოდი. ველოდი, ჭაღარა მომერეოდა, ყავარჯნით ვივლიდი, მაგრამ გონებრივ დეგრადაციას არ ველოდი, დღესაც ვერ ვეგუბები. ოცი-ოცდაათი წლის ასაკში ყველამ იცის, რაც მოელოს; იცის, როგორ არ იცის, მაგრამ ყველა ეგუება, რადგან არსებობს სიცოცხლის ინსტინქტური სურვილი, სიკვდილის შიში, რომელიც წამებასა და ყველა ავადმყოფობას აღემატება. ახალგაზრდობაში, მოგვიანებითაც, ყველამ, ბუნებრივია, იცის, რომ დაბერდება, იცის და არც იცის. სიბერე რომ გავიგოთ, უნდა დავბერდეთ. ვიცი, უარესიც არსებობს: კიბო, სხვა განუკურნებელი დაავადებები, ან, როცა ნაძირალები დაგესხმიან თავს, ან კიდევ წამება. დიახ, უარესიც არსებობს, და ეს „უარესიც არსებობს“, ჩვენშია ჩაბუდებული, იგი ეწინააღმდეგება წამებას, სიკვდილს.

სევდიანი სინაზე მიპყრობს, როცა ჩემი საყვარელი, საამური მეუღლის ხელებს ვეხები; ოდესღაც როგორი სასიამოვნო, მშვენიერი ხელები ჰქონდა; ახლა სტიკია, მეც მტიკია ხელები, ფეხებიც (ჯერ არ მითქვამს, ართროზი მაქვს, სიარული მიჭირს). დიახ, დიახ, მაგრამ ეს ყველაზე უარესი არ არის, ოღონდ არც უმნიშვნელოა; და, როცა ჩემი საცოდავი მეუღლის ხელს ვეხები, — ისეთი ნატიფი, ისეთი თეთრი ხელები ჰქონდა, — როცა ხელს ვკიდებ და მახსენდება, რა თეთრი, ნატიფი ხელები ჰქონდა, მწარე, ტკივილიანი სინაზე მიპყრობს; როგორ კარგად ვგრძნობ მასთან თავს, ისეა წელში მოხრილი, კუზიანი გეგონება, მაინც კარგად ვგრძნობ მასთან თავს. საბრალო, ისეთია, თითქოს მინას ჩაეზარდაო.

სინამდვილეში, უფალმა ღმერთმა, სიმართლე დავგიშალა. ყველა გაცოცხლებია: ახალგაზრდობაში გამართული და ტანწერნეტა ადამიანი, სიბერეში რატომ იხრება წელში, რატომ ტყდება და ამის გამო რატომ თავს არ იკლავს; ვერ ავხსენი — გაუგებრობაა. არ შეიძლება უარყო, დიახ, უარყო ის, რომ, გარდა ცხოვრების მიმართ ზიზღისა, არსებობს კიდევ ერთი სასწაული — სიყვარული. მე ასე მესმის: თუ რამეს მივალნი და ჩემში არის რაიმე ღირებული, რამაც ჩვენი დროის ერთ-ერთ უდიდეს მწერლად მაქცია, — ასე მწამს და მჯერა, — ამისთვის საზღაური უნდა გადავიხადო. ყოველ შემთხვევაში, იმისთვის მაინც, რომ ვცოცხლობ.

ბეკეტი ერთ თავის პიესაში ერთ პერსონაჟს ათქმევინებს მეორეს მიმართ: „ის იტანჯება, მაშასადამე, ცოცხლობს“. მკაცრი ანბანური ჭეშმარიტებაა: ადრე თუ გვიან, თითოეულ ჩვენგანს იგი კარს მიუკაკუნებს. ტანჯვა მიუწვდომელია. რატომ იტანჯება ღმერთის სიყვარულით წმინდა ტერეზა ლიზიელი? ანდა წმინდა ტერეზა ავილიელი? ბანალურად ვსჯელობ, ნუ ვიკამათებთ, მეტისმეტად ბანალურად, უფრო ბანალური, ალბათ, არც არსებობს რამე, სანამ სიცოცხლე ჩქეფს. და თუ ას წლამდე მივალნი — რა საშინელება იქნება, ალბათ, ბედნიერება; — მაგრამ მისურს თუ არ მისურს ეს? —

მსურს და არც მსურს. — ჩემთან სახლში ჩემი ქალიშვილია; საცოდავი ჩემი გოგონა; გააფთრებული იბრძვის ჩემი სიცოცხლისთვის, საუკეთესო ექიმებს ეძებს, საუკეთესო წამლებს შოულობს, მივლის, მივლის და მივლის. მხოლოდ ჩვენ ორით — დედამისითა და ჩემით — არის დაკავებული.

...უჰ, ეს არამზადა ჟან ჟენე, პარადოქსები გამცემლობაზე, ცდილობს სკანდალური ქცევებით გააოცოს ბურჟუა; ერთ თავის პერსონაჟს ასე ალაპარაკებს: „ესროლო საკუთარ მეგობრებს, დიდებულნი ტრიუჟია“. საბოლოო ჯამში, მართალიც არის და არც არის; მე „ქაჩალ მომღერალ ქალს“ ვამჯობინებ, დიდებით მოსილი უგნურობა იყო...

ჩემს ცოლს პატარა, ძალიან თეთრი ფეხები ჰქონდა. „თეთრ თავუნებს“ ვეძახოდი. ახლა ართროზისგან ტერფები დაეზრიცა.

არსებობს თუ არ არსებობს იგი — სულერთია პასუხი უნდა აგოს.

მორის დე განდილიაჟი მეუბნება, ღმერთს არ სჭირდება, რაც შეუქმნია ყველაფერზე მბრძანებლობდესო.

ეს ზუსტად იგივეა, რასაც მე ვფიქრობდი, ასეც არის, მაგრამ მეტისმეტად მოკლეა, ხანმოკლე. მეძნელდება, ვამტიკო ან მოვიგონო კიდევ სხვა რამ. ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს დიდი მარათონის შემდეგ ფინიშთან აქოშინებული მივედი. თავში რაღაც აზრები მიტრიალებს, ხვალ ჩამოვყალიბებ.

სასონარკვეთილებაში მაგდებს ჟან მარესა და მიშელ მორგანის ჭაღარა, მიშელ სეროს გათეთრებული უღვაში. ჟან მარე, მიშელ მორგანი, მიშელ სერო ჭაღარას ისე ეგუებიან, თითქოს დაბერება „ბუნებრივი“ მოვლენა იყოს; ბედისწერას სიხარულით ემორჩილებიან.

მე კი ეს დაუშვებელი მგონია; ყველაფერი დაუშვებელია, სიცოცხლეც დაუშვებელია. ცხოვრების კანონზომიერების შეცვლა შეუძლებელია, მაგრამ მის წინააღმდეგ ამბობია შესაძლებელი. მთელი კაცობრიობა უნდა აღუდგეს წინ ასეთ კანონზომიერებას.

სიბერეზე, ყველა დაავადებაზე არანაკლებ მამბობს თავს მონყენილობა. დღეს ნაკლებად ვარ მონყენილი, ვიდრე სხვა დროს, ალბათ, იმიტომ, რომ რამდენიმე აზრის ჩანერა გამომივიდა, შევძელი და რაღაც ვთქვი, რაღაცა ვთქვი.

მონყენილობა უკან იხევს თუ დგახარ ან ზიხარ; პოზაზეა იგი დამოკიდებული. ნოლაზე უარესი არაფერია. მონყენილობა ტალღასავით ვრცელდება — მონყენილობის ტალღა. მალე, ალბათ, მონყენილობისგან უფრო მეტად ვიკვნესებ, ვიდრე ტკივილისგან, ხოლო, როცა მონყენილობას სევდაც დაემატება — უღმობელი ნაღველი, სასტიკი სევდა, მკაცრი მღელვარება, — საშველი აღარ იქნება.

სიხარულის განცდა გამიქრა: აი, ყველაზე მეტად რა მაკლია. განა ასე ცხოვრება შეიძლება? არ შეიძლება, მაგრამ მაინც ვცოცხლობ...

იბადები, რომ მოკვდე, კვდები, რომ დარჩე. სამოთხე: ადგილი, სადაც სიკვდილი არ არის; ადგილი, სადაც ყველა ცოცხალია. მარადიული სიცოცხლე, როცა ყველა არსებობს. აქ კი, ედემის გარეთ ეგრეთ წოდებულ იმ ადგილას,

## ჟენ იონესკო ბოლო ჩანაწერების ფრაგმენტები

რომელსაც „ყველა“ ჰქვია, ადამიანები იბადებიან, რათა დაიხრცნენ. ყველაფერი იბადება, რომ დასასრულამდე მივიდეს. ყველაფერი იბადება, იზრდება, ცოცხლობს და — ზვავის ფანტასტიკური სისწრაფით სიკვდილის, არყოფნის შესახებ დრად მიექანება. ფინჯან ყავას ვსვამ, იმიტომ, რომ ბოლომდე გამოვცალო; სკოლაში დავდივარ, რომ დავამთავრო; სპექტაკლზე მივდივარ, ბოლომდე რომ ვუყურო და ასე შემდეგ. მოკლედ, ამქვეყნად ყველაფერს დასასრული აქვს, ეს ცნობილი ამბავია. აი, სიკვდილი კი პირიქითაა, კვდები, რომ ხელახლა დაიბადო. მაშასადამე, სიკვდილი, ეტყობა, რაღაც ისეთია, სიცოცხლისკენ გადასვლის მსგავსი; დიახ, სამოთხე უნდა იყოს და, ალბათ, არის ის ადგილი, სადაც ყველა არსებობს. აგონია: დაბადების ტანჯვა?

### ჩემი წარსული ჩემან გამოცალკევდა

სიბერეში არ უნდა ელოდო, რომ ჯანმრთელობა მოწესრიგდება. რა წამალიც უნდა მიიღო, საქმე მაინც უკან-უკან მიდის. არიან ადამიანები, რომლებიც საკუთარი წარსულისგან არიან შექმნილი. ასე მგონია, ჩემი წარსული, რაღაცა აზრით, ჩემგან გამოცალკევდა და მე არ მეკუთვნის. ხომ ვიცი, მე დავწერე „ქაჩალი მომღერალი ქალი“, „სკამები“ და სხვა; რომ დიდი ხანია უკვე მყავს ქალიშვილი, სახელად მარი-ფრანსის და ცოლი როდიკა. მაგრამ წარსული ჩემს არსს არ განსაზღვრავს. იმ მე-მ, ახლა რომ ჩემში ცხოვრობს, ყველა დანარჩენი შთანთქა.

საათი — ყოველთვის ერთი და იგივე არ არის. დროის აღქმა სხვანაირიც არსებობს, ზოგჯერ საათი ოც, ოცდაათ წუთს ან მეოთხედ საათს უთანაბრდება, ზოგჯერ, პირიქით, უფრო გრძელდება. ობიექტური დრო არ არსებობს, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, არ არსებობს ობიექტური დროის აღქმა; როცა მონყენილი ვარ, — რაც არცთუ იშვიათად ხდება — დრო ინელდება, ინელდება, ინელდება. ზოგჯერ დრო გადის, ზოგჯერ კი ადგილზე დგას. როცა, თუნდაც, ათი წუთი ელოდები — ეს უფრო დიდი დროა, ვიდრე ის ერთი საათი, როცა მონყენილი არა ხარ.

ბერიკატები ბოროტებიან, დედაბრები ჯადოსნობენ; პატარ-პატარა საძაგლობებს სწადიან საცოდავი დედაბრები. სიბერისგან ვერასოდეს განიკურნები, გრიპი კი არ არის. გადის ცოტა დრო და განკურნების მაგივრად იმავე ხაფანგში ებმები. რაღაც სენს თავს დააღწე, მაგრამ, დარწმუნებული ბრძანდებოდე, სიბერე ისევე გააგრძელებს თავის დამანგრეველ საქმიანობას.

რაც დავიბადე, აღტაცება და შიში არ მშორდება. რომელი უფრო ძლიერია? ახლა ჩემთვის — შიშია უფრო ძლიერი. მომვლელი ქალი ჩივის: „ტანჯვა. აი, რა მალცებს. თუ ადამიანი მორწმუნეა, მაშ, ასე რატომღა იტანჯება? გაცოცხლებელი ვარ, უფრო და უფრო გაცოცხლებელი. ვკითხულობ წმინდა ტერეზა ლიზიელის ქადაგებებს; ვკითხულობ წმინდა ტერეზა ავილიელის წიგნებს და გაცოცხლებელი ვარ, გაცოცხლებელი“.

ასე ვცხოვრობ გაცოცხლასა და შიშის, აღტაცებასა და ძრწოლვას შორის. ცოლი მიმტიკიცებს: „ვერც კი წარმოიდგენ, როგორ მიყვარხარ. როცა მოკვდები, მაშინვე უკან გამოგყვები!“ მართალია, მე პირველი უნდა წავიდე. აღარ შემიძლია სიცოცხლე. მკლავები, თითები, ფეხები — გადაულახავ პრობლემებს მიქმნის. ხვალ, საერთოდ, ვეღარ

გავინძრევი. საკუთარ თავს ვეკითხები: ყველა სად გადაიკარგა? ადვილი სათქმელია — არსად არიან. იმის თქმა კი, რომ სადღაც არიან, შეუძლებელია.

ჩვენ სამივე — არასახარბილო მდგომარეობაში ვართ. როგორ მიგვიღებენ? ან ის როგორ მოგვექცევა? რაც უფრო მეტს ვფიქრობ ამაზე, უფრო მემატება გაოცება და შიში.

წუხელ ცოლი დამესიზმრა. მასაც დაესიზმრა, რომ მოკვდი; მწუხარებისგან სახე შეშლოდა; რა საყვარელი იყო. ასეთი არასოდეს ყოფილა. გაიღვიძა და თქვა: თუ მოგვკვდები, ვერ გადავიტანო.

სიბერეზე ნაკლებს ლაპარაკობენ. ვისაც ამის შესახებ საქმის ცოდნით შეუძლია ლაპარაკი, ძალიან ბებერია. სიბერე წერილობითი სახით არ არსებობს.

კი ბატონო, შეიძლება გეჯავრებოდეს კიურები, პრელატები, მათი ბლაგვი ენა, მაგრამ ისინი იმდენად არიან დარწმუნებული საკუთარ თავში, რომ იციან კიდევ, როგორ გაუთქლონ ახალგაზრდობასაც და სიბერესაც.

აბა, რა სასიამოვნოა დაბერება? ხედავ, როგორ ბერდებიან სხვებიც. ორი წელია არ მინახავს ერთი ჩემი კარგი მეგობარი. ორი წელი გავიდა და ვნახე — ბებერი, გათეთრებული, შემუშუბული, უაზრო გამომეტყველებით.

ჩვენი დაბერების ყოველი წამის მონიშვნა და შედარება შეიძლება წინა წამთან. ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი განცდა ცხოვრებაში — სიბერეა; იმის შეგნება, რომ ბერდები. დავბერდი გუშინდელი დღიდან, გასული წლიდან, ბოლო ათი, ოცი წლიდან დავბერდი.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ცხოვრებაში გავაკეთე ისაა, რომ დავბერდი.

### უფალო, ჰქმენ ეს, რომ გინამო

მასაში არ მშველის. აი, ამ წუთში, მიუხედავად ყველაფრისა, ისეთი ტკივილები მაქვს, წერა არ შემიძლია. მალე ხუთი საათი გახდება, ღამე ახლოვდება; მეჯავრება ღამე, მაგრამ, ზოგჯერ საოცრად ნეტარ, ტკბილ ძილს მგვრის. ჩემს პიესებს თითქმის მთელ მსოფლიოში დგამენ, მე კი მგონია, მათ სახსავად მისულა ადამიანებს, იცინიან თუ ტირიან, ნამდვილი ტანჯვისა არაფერი გაეგებათ. მესმის, მალე ყველაფერი დამთავრდება, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, ყოველი დღე — მოგებაა. ცოლი განუწყვეტილი მომშტერება, ამის გამო თავს უფრო ცუდად ვგრძნობ. ვიცი, სადაც ვარ, თუმცა ცოტა თავს ვიკატუნებ, ვითომ მაინცდამაინც დარწმუნებული არა ვარ-მეთქი; და მაინც ვიცი, სადაც ვარ: სავარძელში, საიდანაც ჩემი გაჩიკული ცოლის, ანდა ქალიშვილის, ან, რაც ყველას სჯობია, ჩვენი ჯანიანი ქალის, საოჯახო საქმეებში რომ გვეხმარება, ახლა ასე ეძახიან მოსამსახურებს, დაუხმარებლად მიჭირს ადგომა.

\*\*\*  
ზომჯერი რამდენიმე ერთგული მეგობარი მომინახულებს. ძალიან მსიამოვნებს მათი ნახვა, მაგრამ ერთი საათის შემდეგ ვიღლები. რა გამიკეთებია სასარგებლო? მგონი, ამაოდ ვიხარჯებოდი, მხოლოდ ცხოვრების დინებას მივყევბოდი. თავში სიცარიელეს ვგრძნობ, აზროვნება მიძნელდება, არა, ტკივილის გამო არა, ეგზისტენციალური სიცარიელის გამო, რომლითაც გაჯერებულია სამყარო. თუ შეიძლება ასე ითქვას: სამყარო



სიცარიელითაა სახეს. გარდა რძიანი ყავისა, ჩემს ცხოვრებას მხოლოდ ორი სათაყვანებელი არსება ავსებს, და კიდევ, თუ დასაშვებია ერთად მოვიხსენიო: სადილები და ვახშმები, რომლებიც, საუზმებთან ერთად, ჩემი ცხოვრების უდიდეს მოვლენას წარმოადგენს. ვფიქრობ, აი, ახლა ავდგები, მაგრამ წარმოდგენა არა მაქვს, რა უნდა გავაკეთო იმ დროში, რომელიც შეიძლება ნახევრამდე ან შვიდამდე რჩება, როცა ვახშამი იქნება, და თანაც, როგორც ყოველთვის, მგონია, რომ შეიძლება დღეს საღამოს მოვკვდე, უკეთეს შემთხვევაში, ხვალ ან ზეგ. ანდა იქნებ — ვინ იცის? — უფრო მოგვიანებითაც. როცა ყველაზე უარესზე, თავზარდამცემზე არ ვფიქრობ, მონყენილი ვარ, ძალიან მონყენილი. ზოგჯერ მგონია, ვლოცულობ. აი, ახლა, ჩემთან მეგობარი მოვიდა, და, საბედნიეროდ, სიცარიელე, მოკლე ხნით, უკან იხევს, და ვინ იცის, იქნებ სიცარიელის მაგივრად რაღაც დარჩეს, რაღაც დარჩეს. იქნებ, სიხარულიც მოვიდეს. ნეტავი, ღმერთს როგორი ფორმა აქვს? ასე მგონია, ღმერთს ოვალური ფორმა აქვს...

\*\*\*

ჩემი, როგორც ამბობენ, ცხოვრების გზაზე, ბევრი ადამიანი დამეხმარა, რომელთა წინაშეც დიდ ვალში ვარ. უპირველეს ყოვლისა, დედაჩემისგან ვარ დავალებული, რადგან ამ ქვეყანას მომავლინა: უჩვეულოდ ალერსიანი და მხიარული ქალი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ერთი შვილი ძალიან ადრე მოუკვდა, ქმარმა კი, ამ უზარმაზარ პარიზში მიატოვა და მარტო დარჩა; მერე თავისი და, სესილი მოქმენა, რომელსაც მხოლოდ პატარა კუთხის შეთავაზება შეეძლო თავის ბინაში, სადაც ერთად ცხოვრობდნენ პაპა-ფანი, ბებია ანა და დეიდაჩემი, სრულიად ახალგაზრდა ქალი, სესილი. მოგვიანებით, მე სანყალმა, სამუშაოს მსგავსი რაღაც ვიპოვე — კონვერტებზე წარწერებს ვაკეთებდი იმ სკოლებისთვის, ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებელ გამოცდებს რომ იბარებდნენ. მაშინ სწავლის გაგრძელება მინდოდა. დირექტორმა ქალმა, კონვერტებზე მისამართების წერა რომ შემომთავაზა, მითხრა: „მგონი, ეს თქვენს პროფესიასთან რაღაც კავშირშია — ხომ მასწავლებელი იყავით. იმედი მაქვს, არაფერი შეგეშლებათ“. თავის დროზე მამაჩემიც, რომელიც ბუქარესტში ცხოვრობდა, ჩამოვიდა ჩემს დასახმარებლად: საშუალო განათლების მიღება მაიძულა, უმაღლესში კი თვითონ ვისწავლე. მაგრამ ყველაზე მეტად ცოლი როდიკა და ქალიშვილი მარიფრანსი მედგნენ მხარში. უიმათოდ, ცხადია, ვერაფერს გავაკეთებდი, ვერც დავწერდი. მთელ ჩემ შემოქმედებას მათ უნდა ვუმაღლოდე; ყველა ჩემი წიგნი მათ მიუძღვნენ. მერე, მოგვიანებით ბუქარესტის ლიცეუმის ყველა მასწავლებელი დამეხმარა, ლიცეუმის დირექტორიც — მისი ძალდატანებით, მიუხედავად ჩემი სიზარმაცისა (სკოლაში არაფერი მისწავლია), დავდიოდი ბიბლიოთეკაში და ვკითხულობდი წიგნებს. შტეფან პოპისგან იმით ვარ დავალებული, რომ ბაკალავრის ხარისხი მივიღე, მაგრამ ეს იმ დახმარებას ვერ შეედრება, ჩემმა მეუღლემ რომ გამინია, — მოგვიანებითაც, როგორც მაშინ, სულის მოთქმის საშუალებას არ მაძლევდა.

\*\*\*

ძალიან ვარ დავალებული გაიძვერა კერცისგან, რომელმაც ნიუ-იორკში „მარტორქის“ ბოლო წარმოდგენა ჩააგდო, რამაც მას 40000 დოლარი მოუტანა, მე კი სახელი გამითქვა შეერთებულ შტატებში, თავისდაუნებურად დიდი სამსახური გამინია. მერე იყო მარგარეტ რამსეი, ჩემი ლიტერატურული აგენტი; ინგლისელი და ფრანგი კრიტიკოსები, მათ შორის ჟან-ჟაკ გოტიე და რობერტ კამპი, რომლებიც გააფთრებულნი მესხმოდნენ თავს და მათდაუნებურად ჩემი აღიარება განამტკიცეს; „მონდის“ კრიტიკოსები „ფიგაროს“ კრიტიკოსების წინააღმდეგ გამო-

დიოდნენ და პირიქით; თანაც, დასაწყისში, მემარცხენეები ფიქრობდნენ, რომ მემარცხენე ვიყავი, მემარჯვენეებს კი — მემარჯვენე ვეგონე. ორივე მხარემ, თავადაც რომ ვერ მიხვდნენ, ბევრი კარგი საქმე გამიკეთა, მათ შორის იყო ბარტი და ერთი სხვა, ახლა მისი სახელი არ მახსენდება. და ისევე ჩემი ცოლი, ისევე ჩემი ცოლი — მან მაიძულა ლიცენციატის ხარისხის მიღება, მაიძულა მასწავლებლის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღება. შედეგად, ერთ მშვენიერ დღეს, ფრანგმა დირექტორმა სტიპენდია დამინიშნა პარიზში სწავლის გასაგრძელებლად და სადოქტორო დისერტაციის მოსამზადებლად, რომელიც არ დამინერია. მას ალფონს დიუპონი ერქვა, ამას წინათ გარდაიცვალა 89 წლის ასაკში. ასევე დამეხმარა, თუმცა ცუდის გაკეთება უნდოდა ჩემთვის, მამაჩემის მეორე ცოლი — ლოლა. მამაჩემის სახლიდან გამომავლო. თავად მომინია ცხოვრების მოწყობა და წარმატებასაც მივალნი. დამეხმარნენ წმინდა საბას სახელობის ლიცეუმის მასწავლებლები, რომლებმაც სასწავლებლიდან გამომაგდეს; მათი წყალობით ბაკალავრის ხარისხი პროვინციაში მივიღე, სადაც ცოლისადამ ანჟელამ შემიფარა, რომელსაც ლიცეისტი ჭაბუკებისთვის პანსიონი ჰქონდა გახსნილი და, რომლებმაც, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ცხოვრებაში ვერაფერს მიაღწიეს. სახლიდან სახლში მოვმთავარეობდი, ოჯახიდან ოჯახში გადავდიოდი. მიუსაფარი ვიყავი, მანან-ნალა. ბოლოს მონპარნასზე მშვენიერი ბინის მფლობელი გავხდი. დაბოლოს, ცოტად თუ ბევრად, შორეული ნათესავებიც მემხარებოდნენ — დეიდა საბინა, დეიდა ანჟელა, მასწავლებლებიც — მათი წარმოდგენით, ნიჭიერი ვიყავი. 1940 წელს, ომის დროს კი, სიდერრი, ანკა დამეხმარა, გულდათოუთქულმა, მწუხარებას სძლია და სიძე-ქალიშვილი საფრანგეთში გაგვგზავნა. მთელი ცხოვრება პარიზში ჩამოსვლაზე ოცნებობდა, სიკვდილის პირასაც ამაზე ოცნებობდა. დამეხმარა უფალი ღმერთიც, როცა დენილის მდგომარეობაში აღმოვჩნდი პარიზში, რადგან ბუქარესტელ კომუნისტებთან საქმის დაჭერა არ მინდოდა. ერთხელ, ორმოციან წლებში, კალათი ავიღე და ბაზარში წავედი. მართალია, ფული არ მქონდა, მაინც წავედი და მინაზე დაგდებული 3000 ფრანკი ვიპოვე. აი, რამდენი გარემოება დამეხმარა. იქნება, ცხოვრებაში და ყველაფერშიც, რასაც ვაკეთებდი — ღმერთი მიმართავდა ხელს, მე კი ვერ ვამჩნევდი. და კიდევ, კლოდტერასის ქუჩის სახლის მეპატრონე მომეხმარა, ბატონი კოლომბელი, უფალი ფარავდეს, არ ისურვა ლტოლვილის სახლიდან გაგდება, რომელიც ბინის ქირას ვერ იხდიდა, ისიც, იქნებ, უფლის წარმოგზავნილი იყო, ვინ იცის. აი, ასე, ხელიდან ხელში გადავდიოდი, დასასრულ, სახელგანთქმული კაცი დავდექი, მე და ჩემმა ცოლმა, ორივემ, ოთხმოც წელსაც მივალნიეთ, ოთხმოცდაერთ ნახევარსაც კი და სიკვდილის

შიშით და კეწვით განამებულმა, ვერც კი მივხვდი, რომ ღმერთმა მაინც მოწყალება მოილო. მართალია, ჩემი გულისთვის სიკვდილი არ გააუქმა, და ეს, მგონი, დაუშვებელია, მაგრამ სიცოცხლე მომცა, ჯანმრთელობა, დაავადებებისგან მხსნელი მკურნალი ექიმები, იმ დაავადებებისგან, ჩემი გაუფრთხილებლობით, უგუნური ქცევებით რომ დავიტეხე თავს.

მიუხედავად ჩემი და ღვთისმსახურთა დიდი მცდელობისა, მაინც არ გამომივიდა უფლის გულში ჩახუტება. ბოლომდე მაინც ვერ ვირწმუნე, არ გამომივიდა. ვაი, რომ იმ ადამიანს ვგავარ, რომელიც ყოველ დღე ასე ლოცულობს: „უფალო, ჰქმენ ესე, რომ გინამო“. როგორც ყველამ, არც მე ვიცი, იმ ქვეყნად არსებობს რამე თუ არ არსებობს. პაპი იოანე-პავლე II-სავით მეც ასე მგონია, რომ ბნელეთისა და სიკეთის ძალებს შორის საყოველთაო ომი. ცხადია, სიკეთის გამარჯვებისა მჯერა, ოღონდ, როგორ მოხდება ეს, არ ვიცი. ვინ ვარ — სამყაროს ნამსხვრევები თუ არსებები, რომელთაც მკვდრეთით აღდგომა ელით? იქნება, ყველაზე მეტად ცოლთან და ქალიშვილთან განშორება მიმძიმებს გულს? იქნებ, საკუთარ თავთანაც! იმედი მაქვს, დროსთან, დროზე და დროის გარეშე თვითგაიგივების უნარს არ დავკარგავ. ქალიშვილის დახმარებით დიდი გაჭირვებით დავდივარ. ქალიშვილი მეხვევა, ფეხზე მამაგრებს, მე კი მემინია — ყოველ ნაბიჯზე დავარდნის საშიშროება მელის.

\*\*\*

აღამიანები დედამინაზე იმისთვის როდი მოდიან, რომ იცოცხლონ. მოდიან იმიტომ, რომ ჩამოხმნენ და დაიხოცნენ. ბავშვობას გაატარებენ, დაიზრდებიან და უშაღ დაბერებებს იწყებენ, და მაინც ძნელია სამყაროს წარმოდგენა უღმერთოდ. და მაინც ჯობია, იფიქრო, რომ ღმერთი არსებობს.

ეტყობა, თანამედროვე მედიცინა და გერონტოლოგია, ძალას არ იშურებენ, ცდილობენ, ადამიანი მთელი მისი სისრულით წარმოგვიდგინონ; იმად, რაც ვერ შეძლო ღვთაებრივმა სანყისმა — ალამ-ღლოს სიბერეზე, გონების დაქვეითებაზე, უძლურებაზე და სხვა. კვლავ შექმნას ადამიანი მთელი თავისი სიდიადით — უკვდავი, რისი გაკეთებაც არ ისურვა ან ვერ შეძლო უფალმა ღმერთმა.

ადრე, ყოველ დღე, სანოლიდან ადგომისას ვამბობდი: დიდება უფალს, რომელმაც კიდევ ერთი დღე მიბოძა. ახლა ვამბობ: კიდევ ერთი დღე მამართვა მან. ნეტავ რა უყო იმ ადამიანებს, იმათ მთელ საქონელს, იობს რომ წაართვა?

და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, მე მწამს ღმერთი, იმიტომ, რომ მწამს ბოროტების არსებობა. თუ არსებობს ბოროტება, მაშინ არის ღმერთიც!

1993-1994 წლები

თარგმან ავსიით კახაბერიძე



მალხაზ ხარბედია:

„წიგნის შედგენის ხელოვნება გადაყრის ხელოვნებაა“

დასასრული

ეს ფიქრები. საბედნიეროდ მკითხველი ისედაც არ აკლია ამ ბლოგებს, რადიო "თავისუფლების" საიტი ყველაზე კითხვა-დღი (და სმენადი) საინფორმაციო-ანალიტიკური საიტია საქართველოში. მაგრამ, თუკი დავრწმუნდი, რომ ინტერნეტს მიღმა ჯერ კიდევ ბევრი ადამიანი დარჩენილი, ვისაც დაინტერესებს ჩემი ნაწერი, მაშინ შეიძლება ვიფიქრო ბლოგების თავმოყრაზე და გარკვეულ კონცეფციით მათ განაწილებაზე. ხოლო რაც შეეხება ჩემს საავტორო გადაცემას, "ბიბლიოთეკას", გამორიცხულია წიგნად გამოვიდეს, ეს სპეციფიური, რადიოსთვის შექმნილი ტექსტებია, რესპოდენტებით, ჩართვებით და ა.შ.

— ინტერნეტ-სივრცეზე მინდა გკითხო, რომელიც გაცილებით თავისუფალია ბეჭდურ გამოცემაზე და უფრო მეტ თავისუფლებას იტანს, შესაბამისად, რედაქტორიც ნაკლებად ესაჭიროება. დღეს ინტერნეტში აქტიურად აქვეყნებენ ნაწარმოებებს როგორც ახალბედნი, ასევე უკვე ცნობილი ავტორები. ხომ არ გამოიწვევს ეს ფაქტი რედაქტორის ინსტიტუტის კიდევ უფრო შესუსტებას?

— პირიქით, ეს აადვილებს კიდევ ურთიერთობას ავტორსა და რედაქტორს შორის. ანუ ეს არის საუკეთესო საშუალება ავტორების აღმოსაჩენად, თუმცა მწერალმა, შემდეგ, რაღაც ეტაპზე აუცილებლად უნდა გადაინაცვლოს ბეჭდური მედიის და წიგნების ფურცლებზე. დგება დრო, როცა ჟურნალის ან გამოცემის მის რედაქტორს უნდა ჩაერთოს საქმეში. თუკი ავტორი მინცდამაინც ჰიპერრომანს არ წერს, რისთვისაც მას ქსელის დახმარება სჭირდება აუცილებლად, უკეთესი იქნება თავისი საუკეთესო ნაწერები ყოველთვის დასაბეჭდად შემოინახოს ხოლმე, ასე ვფიქრობ მეტი ექნება, მცირე შემოსავალსაც მიიღებს ავტორი და მიზნობრივი მკითხველიც მეტი ეყოლება. საიტზე გამოკიდებას და დიდი რაოდენობით "ლაიქებისა" და "პოუსების" მიღებას იგი ყოველთვის მოასწრებს.

— და ბოლოს, რაში ხედავ გამოსავალს, როგორ შეიძლება ამ სფეროს შევლა?

— ამ სფეროს შეცვლას 4-5 ენთუზიასტიც კი ეყოფა, ადამიანები, რომლებიც ყოველთვის ეცდებიან ფიზიკლად შეაფასონ ქართული ლიტერატურა. ძალიან მნიშვნელოვანი როლი უნდა დაეკისროს მედიას, ბეჭდურ და სატელევიზიო მედიას, უნდა ჩამოყალიბდეს ლიტერატურული ჟურნალისტიკა და პირველ რიგში ეს მისია თავად მწერლებმა უნდა იკისრონ. სატელევიზიო მედიაზე კი ადრეც არაერთხელ დამინერია და დღესაც ვიტყვი, რომ ძალიან მძიმე ვითარებაში ჩაიგდეს თავი. მაშინ, როცა პრესა და ტელევიზია მკითხველის მოპოვების ყველაზე მძლავრი იარაღია მთელს მსოფლიოში, მედია დღევანდელ საქართველოში იმდენად სუსტია, რომ მისი წყალობით ლიტერატურა და პოეზია, ყველაზე მოსახერხებელი რამეებთან ასოცირდება. სამწუხაროდ, ჟურნალისტიკა ძალიანაა გამარტივებული და იგი ყველაზე ხშირ შემთხვევაში რაღაც რიბიეტის გახსნისას ვიღაც ჩინოსანის მიერ წარმოთქმული სიტყვის რეზიუმეზე დაიყვანება. მე მგონი აუცილებელია ლიტერატურას სარეკლამო დროც კი დაუთმონ ტელეარხებმა, იმ დროში, რომელიც სოციალურ რეკლამას ეთმობა, ლიტერატურაც უნდა მოვიპოროთ, სხვა შემთხვევაში ხალხს შეიძლება კითხვაც კი დაავინყდეს. სახელმწიფოს ვერ ააშენებს საზოგადოებას, სადაც 5 მილიონიდან მხოლოდ 500 კაცი კითხულობს წიგნებს.

ესაუბრა ნანა კობახიძე



მიუხედავად იმისა, რომ გაუთავებლად გვიკვირებოდა, თითქოს ლიტერატურა რა ხანია მოძველდა, მასში ახალ ველ-არაფერს აღმოაჩენ, მრავალი ალტერნატივა გააჩნიაო ჩვენ და ჩვენისთანები, ვისთვისაც ლიტერატურა საკვება და ჰაერით აუცილებელი, ჯიუტად მაინც ვაგრძელებთ კითხვას. „მწერლობა ხომ ენას იყენებს... და ანალიტიკურ მთლიანობას წარმოადგენს, რომელიც სამყაროს გამოხატვის საშუალებას იძლევა, რომელზეც მეცნიერების შექმნა ან მითების შეთხზვაა შესაძლებელი. ...მას (ენას) იდეების, სახეების მშენებლობის შესაქმნელად იყენებს. ამიტომაც მათ გარეშე საერთოდ ვერაფერს გავხდებოდით. ენა კაცობრიობის ყველაზე უცნაური გამოგონებაა, რომელიც ყველაფერს წინ უსწრებს და ყველაფერს ანაწევრებს. უნოდ არც მეცნიერება იარსებებდა, არც ტექნიკა, არც კანონები, არც ხელოვნება, არც სიყვარული.“

„... თან მარი ლე კლეზიოს ეს სიტყვები ახლახან ნავიკითხე და აღტაცებას ვერ ვმაღავ, საკუთარი ნაფიქრით ვეთანხმები. და კიდევ: „... ყველას უნდა მიუწვდებოდეს ხელი კულტურაზე. ამისთვის კი იდეალური იარაღი წიგნია, მთელი თავისი არქაულობით. პრაქტიკულად, მოსახერხებელია, ეკონომიურია. განასაკუთრებული ტექნოლოგიური დამუშავება არ სჭირდება და ნებისმიერ კლიმატურ პირობებში კარგად ინახება.“

ალბათ, სათაურით მიხვდით, რომ ამჯერად ლაშა ბულაძის ბოლო წიგნზე — „ლიტერატურული ექსპრესი“ — მსოფლიო საუბარი. უპირველესად, ამ თაობას მაღლობა უნდა ვუთხრა, რომ მათი წყალობით, საქართველოში წიგნი დღესაც „მოდაშია“.

წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ: „ლიტერატურული ექსპრესი“ ექსპერიმენტული მატარებელია, რომელიც ევროპის სხვადასხვა ქალაქს სტუმრობს, მგზავრები კი ევროპელი, მათ შორის ქართველი მწერლებიც არიან. როგორც ჩანს, ეს ექსპერიმენტი მართლაც ხდება ბევრისთვის ახალი წიგნის დანერგვის იმპულსი. ამის მაგალითია წინამდებარე ავტორი.

უპირველესად, ვიტყვი, რომ სახალისო ტექსტია, ისიც მოგეხსენებათ, რომ ლაშა ბულაძის გემოვნებიანი იუმორი აქვს. მწერალთა და ლიტერატორთა ჯგუფი მატარებელით მოგზაურობს, როგორც ჩანს, ერთმანეთისაგან შემოქმედებითი იმპულსის მისაღებად და აზრთა ურთიერთგაზიარებისათვის. რამდენად გამოსდით ეს, სიუჟეტში თანდათან იკვეთება. როგორც ჩანს, ეგოცენტრიზმი ლიტერატურაში დროის სენია და არა მხოლოდ ქართული. ყურადღებას იპყრობს ავტორის კულტუროლოგიური მსჯელობანი. კერძოდ, ვეთანხმები, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურა საკმაოდ ეგოცენტრული პროვინციალიზმით (შესაძლოა, ბევრი შემეკამათოს. გთხოვთ, ვისაც არ ეხება, საკუთარ თავზე ნუ მიიღებს) და კიდევ, ძველი თაობის მწერლები რომ ბილნსიტყვაობენ, ამაზრზენი საკითხავია. თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩემს „ესთეტიკურ ყურებს“ სხვა შემთხვევაც აღიზიანებს ამგვარი რამე-რუმეები.

ავტორი ნუხს, რომ სათანადო ადეკვატურობით ვერ გამოხატავს საკუთარ სასიყვარულო განცდებს; ქართულ ენაზე ეს გამოდის ან ბილნი, ან ძალზე უგულო და აგრესიული და რომ ჩვენთან მხოლოდ მინიმუმებით უნდა დაკმაყოფილდე. დიახ, ჩვენ ამგვარ კულტურულ-ენობრივ სივრცეში ვცხოვრობთ და მე, როგორც მკითხველს, ისევე როგორც მკითხველს — საკვებით მაკმაყოფილებს მინიმუმები და მეტიც, ვფიქრობ, რომ მხატვრულ ნაწარმოებში ყველაფერი როდი უნდა იყოს გაშიშვლებული, მინიმუმების შემთხვევაში ხომ გაცილებით მეტი სივრცეა ფანტაზიისათვის, რისი წყალობითაც ნაწარმოები ხდება უფრო იდუმალი და თუ გნებავთ, უფრო „მხატვრულიც“. თუმცა, იუმორით თუ შევხედავთ, ალბათ ყველაფერი ასატანია. ლაშას ახასიათებს

რუსუდან ბეჟაშვილი

„ლიტერატურული ექსპრესი“

ენის სიმსუბუქე და ძალაუნებურად თითქოს „პატიობ“, არადა, ეხება ისეთ თემებს, რომ ბენვის ხიდე გავლასა საჭირო, ბანალობაში რომ არ გადავარდეთ. ვფიქრობ, ავტორი ახერხებს ამ ბენვის ხიდე გავლას.

საინტერესოა, თუნდაც შედარებები ქართულ და უცხოურ ხასიათს შორის; მოგეხსენებათ, წიგნში აღწერილია მრავალეროვანი მწერალთა მატარებელი მოგზაურობა სხვადასხვა ქალაქში. ამ უჩვეულო ატმოსფეროში ურთიერთობენ ჩვენი წიგნის გმირები, რომელთა უმრავლესობა მწერალია (პოეტი, რეცენზენტი და ასე შემდეგ). როცა ჰელენა ქართველი მწერალ ზაზას თავისი მთვრალი ქმრის სასტუმროს ნომერში აყვანას თხოვს და განუწყვეტილ უბოძებს: „უკაცრავად, ძალიან მრცხვენია... ჩემი ქმარია, ძალიან დათვრა. მივხვდი, რადაც უნდა მეთქვა. ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩენილ სიმპათიურ ქართველ გოგონას აუცილებლად ვეცდები: „არა გრცხვენიათ, რაზე მიხდით ბოდიშს,“ ან უბრალოდ, მოკლედ და თანაგრძნობით: „კარგი, რა.“ მაგრამ რაკი ევროპაში ვიყავი, ამიტომ ასეთი რამ უნდა მეთქვა, რასაც მხოლოდ ევროპელი თუ იტყობა. აი, თუნდაც ეს, მაგალითად: — ექიმი ხომ არ გამოვიძახოთ?“ და ასე შემდეგ.

თხრობის ლაღი და თვითირონიული სტილის საილუსტრაციოდ კიდევ ერთ პატარა ფრაგმენტს მოვიყვან: „...თუმცა ერთბაშად ვერც მივხდი, რა უნდა მექნა. ჩემ თვალწინ სრულიად უცნობი, ჩემზე ორი თავით მაღალი მამაკაცი გაშხლართულიყო და ერთი წამითაც არ ფიქრობდა თავისით წამოდგომას. მე კი ვერაფრით ვხვდებოდი, როგორ უნდა ნამომეყენებინა ეს მასა: ხელზე მოვჭიდებოდი, თუ პირდაპირ ილიის ქვეშ შემედო მისთვის თავი და ზურგზე გადმომიკიდა? საბოლოოდ ერთიც გავაკეთე და მეორეც. ხელებით ჩემკენ მოვქაჩე, ერთი მარჯვენა, მხარზე გამოვიდე, ჩემივე საკუთარი მარცხენა კი ზურგს უკან შევუტურე და ასე შევეცადე მის წამოწევის.“

ადგილი მზის ქვეშ მარადიული თემა ყველა დროში: პრესტიჟულ ჟურნალში მოსახვედრად აქტუალობაზე მსჯელობს მწერალი, აქაც ლაშასეული იუმორით ცხადია: „როგორ უნდა გამოიცნოს მწერალმა, რომელი რეგიონი იქნება, ვთქვათ, გაისად პრიორიტეტული. იგეგმება სამე რამე ომი? ... უნდა გამოცხადონ: 2020 წელს აქტუალური იქნება რომანები გაეროზე... ხო, ასეა, სწორედ რეგიონ-

ია მნიშვნელოვანი და არა შენ... რადგან რეგიონი შენს ტალანტზე მიმზიდველია.“

წიგნში მოულოდნელ სასიამოვნო სიხლეს წარმოადგენს ლიტერატურული ექსპრესის ბინადართა წერილები ახლობელ ადამიანებთან საკუთარ მშობლიურ ენებზე, წერილებს თან ერთვის ქართული თარგმანიც. სწორედ ამ წერილებში ვლინდება ყველაზე მეტად გულწრფელი დამოკიდებულება ერთმანეთისა და ასევე მათი საქმიანობის, ანუ მწერლობისადმი. ერთ-ერთი ბულგარელი მწერლის წერილიდან ამგვარი სახის ჩივილი ისმის, როგორც ჩანს, ასევე საყოველთაოდ აქტუალური: „როგორ უნდა მოვთხოვოთ კითხვა სკოლის მოსწავლეს, როცა თავად პროფესიონალ მწერლებს ეზარებათ კითხვა? მკითხველები მწერლებშიც გადაშენდნენ. და მე ეხლა სწორედ ამის მომსწრე ვარ. აქ მყოფი მწერლებს უნოდებენ საკუთარ თავს, მაგრამ სრულ გულგრილობას იჩენენ მათ გვერდით მცხოვრებ... შედარებით წარმატებული მწერლის მიმართ.“ ...ბოლოს, ამ მოგზაურობის აპოთეოზია ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულების დაჯილდოება. ლაშა რისი ლაშა იქნებოდა, რომ ამგვარი რამ არ ეთქვა (ორგანიზატორი, როცა მისდამი ოვაცია არ წყდება, ამბობს): „— ეს დარბაზი ნახევარი საათით გვაქვს ნაქირავები, ასე რომ, თუკი დროულად არ შევწყვეტთ აპლოდისმენტებს, შესაძლოა, ფოიეში მოვყინდეს გამარჯვებულის დაჯილდოება.“

ერთ რამედ ღირს ილიკოს პერსონაჟი — ეგრეთ წოდებული „მარადი სტუდენტი“ გერმანიიდან (ქართველი), რომელიც, ასე ვთქვათ, მეურვედ მიუჩინეს ქართველ მწერლებს. შემდეგ, როგორც მისი ელექტრონული წერილიდან ირკვევა, მას სხვა ფუნქციაც ჰქონდა დაკისრებული (მაგრამ ყოველივე როდი გავამხებელ). ილიკოს მოსწონს ყველაფერი უფასო და სასტუმროში წერილმან ხელმრუდობასაც არ თაკილობს. და ბოლოს, ამ წიგნების გამოფენასაც აწყობს: „დღის ბოლოს ილიკომ სხვადასხვა სასტუმროდან წამოღებული ნივთების გამოფენა მოაწყო თავის ნომერში. რა აღარ გვანახა: ხალათები (სამი ცალი), ერთჯერადი ფლოსტები (ორი წყვილი), ტელეფონი (!), კოვზები, ტყავის საქალაღდე (წარწერილი; ოტელ არიტმი), გერმანულენოვანი ბიბლია („ლუთერის თარგმანი ესა, უჯრამი იდო“), მოდელიანის რეპროდუქცია („ჩემ ძველ გოგოს გავს, ისიც ეგეთი მკერდის და ნითელი კანის პატრონი იყო“) და ერ-

თიც, ნათურა.“

მოკლედ, უხვად შეხვდებით ტიპაჟების მრავალფეროვნებას — ქართველ თუ უცხოელთა; ეს გახლავთ, ალბათ, ყველა მკითხველისთვის ძალზე ნაცნობი და ცოცხალი სახეები... „... ჩემი უკანასკნელი ვარშავული შთაბეჭდილება სწორედ ილიკოს მონუმენტი გამოფენა იყო. ჰელენა არც ფოიეში, არც ლიფტში, არც ქუჩებში... და არც სადგურზე შემხვედრია.“ ვინ არის ჰელენა? ალბათ, ესეც უნდა ვთქვათ.

ერთი სიტყვით, მწერალ ზაზას სასიყვარულო ობიექტია ჰელენა. ამ ამბავზე ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ; ესაა ჩვეულებრივი სამკაული ნებისმიერი ნაწარმობისათვის და უფრო მეტად მწერალ ზაზას ფანტაზიებში ვითარდება. ერთი კი ცხადია, ამგვარი რამ მართლაც სტაცებს გულსა და გონებას ადამიანს: „რალაცის დანერა დავაპირე, მაგრამ ცარიელ ფურცელს რომ დავხედე, ისევ ჩვეულმა შიშმა ამიტანა. ...ის ორგანო (თუ ორგანოები), რითაც უნდა მენერა, რუსულ ტანკებს, წინა და ამჟამინდელ ელენებს ჰქონდათ დაკავებული.“

უკვე მოგახსენეთ, რომ ყურს მჭრის მოჭარბებული სკაბრები, თუმცა, როგორც მკითხველისთვის, ჩემთვის წიგნში სხვა რამ უფრო მნიშვნელოვანია, მაგრამ საწყენია (ავტორი იმდენად ბუნებრივ იერს აძლევს ამგვარ მეტყველებას), ნუთუ მართლა ასე ბილნია მამაკაცთა — და მითუმეტეს, მწერალთა — აზრები თუ სიტყვები, როდესაც ჩვენ, ქალები, გვერდით არ ვართ? და უნებურად ფიქრობ, ნუთუ მხოლოდ ქალთა საზოგადოებაში კეკლუცობისთვის არსებობს ნორმალური მეტყველება? ვიმედოვნებ, მთლად ასეც არაა...

მკითხველისთვის აგრეთვე საინტერესოა წიგნში ასახული დღევანდელი ლიტერატურული პროცესები, თუნდაც ამ კონკრეტული მწერლის თვალთ, მწერლების ურთიერთობა ერთმანეთთან, პრაგმატიზმადე დასული შემოქმედება და ასე შემდეგ. „როგორც თეოდორ ფონტანე იტყობა: „რა ევალეა რომანს? მან ჩვენ, ყოველგვარი გადაჭარბებისა და სიმახინჯის უარყოფით, უნდა მოგვითხროს ამბავი, რისიც ჩვენ გვჯერა. მან შეთხზული სამყარო, მყისიერად, რეალურ არეალად უნდა წარმოგვიდგინოს.“ თუმცა, ამ შემთხვევაში, პირიქით, რეალური არეალი მხატვრულ ხომულებად გვევლინება, მაგრამ მთავარი ხომ სათქმელის გამოთქმის ხერხია, აგერ საუკუნეებია, ყველა მწერალი თავისებურად რომ ცდილობს. მწერლობის მარილიც ხომ სწორედ სტრიქონებს მიღმა იმალება. ლიტერატურის გურმანებო, აბა, ერთი ესეც გავსინჯოთ!

ზემოთ აღნიშნული ღირსებების გარდა, ეს წიგნი, უბრალოდ, მოწყენილობის წინააღმდეგ საბრძოლველად შეიძლება ნაიკითხოს ადამიანმა. მოწყენილობამ ხომ ზოგჯერ ავადმყოფობის დონეზეც შეიძლება დაგრიოს ხელი. მოწყენილობა გაურკვეველი და ძნელად შესაცნობი სახით, ვნებს და ანელებს სულს, შთანთქავს აზროვნებას. ამ დროს ყველაზე უფრო სულელური მითქმა-მოთქმაც ახალშობილი ვირუსით ჰყავის და იფურჩქნება. ბოლოს და ბოლოს ესეც ხომ სადღაც წამიკითხავს. ასე შემოქმედვალად აყალიბებს წიგნი ჩვენს აზროვნებასა და მეტყველებას. ლაშას ამ წიგნსაც მკვეთრად ატყვია დროის ნიშანი, რაც ალბათ, თავისთავად ცხადია, მაგრამ ნაკლები სკაბრები, თუ შეიძლება. უამისოდ თქვენი ნაწარმოებები უფრო მშვენიერია, ბატონებო...

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 3 სექტემბერს



**ლიტერატურული გაზეთი**  
 გამომდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე  
 რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
 ჟურნალისტები ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობახიძე, თამარ ჟურული

ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com